



ევროკავშირი
საქართველოსთვის



ევროკავშირის ნახშირბადის სესხღვრო
რეგულირების მექანიზმის (CBAM)
გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკასა
და კონკრეტულ სესაქონლო ჯგუფებზე



ევროკავშირი
საქართველოსთვის



ეს პუბლიკაცია შექმნილია PMCG-ის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია PMCG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.



სარჩევი

რეზიუმე	4
შესავალი	6
1. CBAM სისტემა და საქართველოს ეკონომიკა	8
1.1. CBAM-ის მიმოხილვა	8
1.2. CBAM-ის მიმართება საქართველოსთან	13
2. CBAM-ის ზეგავლენა საქართველოზე	24
2.1. CBAM-ის გზაობის და ვაჭრობაზე ზემოქმედების ინდექსები	24
2.2. საქართველოში CBAM-ით გამოწვეული ეკონომიკური გავლენის ეკონომეტრიკული ანალიზი	28
3. ძირითადი მიგნებები და საკანსო ღონისძიებები	35
4. რეკომენდაციები	38
დანართი 1. დინამიური პანელური მონაცემების შეფასება	41
დანართი 2. დინამიური დანახარჯები-გამოშვების მოდელის აღწერა	42
დანართი 3. ეკონომეტრიკული მოდელირების შედეგები	44
დანართი 4. ინფორმაცია ჩატარებული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შესახებ	48
დანართი 5. CBAM-ის რეგულაციის სასაქონლო კოდები	54

რეზიუმე

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ევროკავშირის ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმის (CBAM) საქართველოს ეკონომიკასა და შერჩეულ სასაქონლო ჯგუფებზე შესაძლო გავლენის შეფასებას. კვლევა განხორციელდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობისა და საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესებული მხარეების CBAM-ის დანერგვისა და დაბალნახშირბადიან წარმოებასა და ვაჭრობაზე გადასვლის პროცესისთვის მომზადების მიზნით.

პროექტის მიზანი იყო საქართველოსთვის CBAM-ის პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური შედეგების შეფასება, მექანიზმის მიმართ ყველაზე მეტად მოწყვლადი სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირება, შესაძლო შემარბილებელი და ადაპტაციის ღონისძიებების ანალიზი, ასევე საჯარო ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის შესაბამისი პოლიტიკის რეკომენდაციებისა და რეაგირების ღონისძიებების შემუშავება. შეფასება მოიცავს CBAM-ის მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი გავლენის ანალიზს ვაჭრობაზე, ეკონომიკურ აქტივობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, დასაქმებასა და სექტორულ განვითარებაზე.

კვლევა ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კვლევის მეთოდებს. ანალიზის ფარგლებში განხორციელდა CBAM-ის მარეგულირებელი ჩარჩოსა და საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა, საქართველოს ვაჭრობისა და წარმოების სტატისტიკური მონაცემების შესწავლა, შესაბამისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების გადაანგარიშება, ასევე ფართომასშტაბიანი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კონსულტაციები მოიცავდა ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებს კერძო სექტორის წარმომადგენლების, ბიზნესისა და დარგობრივი ასოციაციების, ექსპერტებისა და საჯარო ინსტიტუტების მონაწილეობით. CBAM-ის პოტენციური ეკონომიკური ეფექტების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ეკონომეტრიკული მოდელირება, მათ შორის Gravity მოდელი და დინამიური დანახარჯები-გამოშვების მოდელი (Dynamic Input-Output Model).

შეფასების შედეგად გამოვლინდა CBAM-ის რეგულირების ქვეშ მოქცეული ოთხი სასაქონლო ჯგუფი, რომლებიც ამჟამად საქართველოსთვის რელევანტურია: რკინა და ფოლადი, ალუმინი, სასუქები და ცემენტი. თუმცა, ევროკავშირში ცემენტის ექსპორტის უმნიშვნელო მოცულობის, ასევე წყალბადისა და ელექტროენერგიის ექსპორტის არარსებობის გამო, რაოდენობრივი გავლენის შეფასება ძირითადად სასუქების, რკინისა და ფოლადისა და ალუმინის სექტორებზე კონცენტრირდა.

ანალიზი აჩვენებს, რომ CBAM-ით მოცულ სექტორებს შორის სასუქები საქართველოს ყველაზე ძლიერ შედარებით უპირატესობას წარმოადგენს და ამავდროულად ყველაზე მეტად ექვემდებარება ახალი მექანიზმის გავლენას, ევროკავშირის ბაზარზე მისი მნიშვნელოვანი საექსპორტო ორიენტაციის გამო. რკინისა და ფოლადის სექტორზე გავლენაც იზრდება, რაც ევროკავშირის მიმართულებით ექსპორტის წილის ზრდით არის განპირობებული. ამასთან, ევროკავშირში ალუმინის ექსპორტი კვლავ შეზღუდულია და, შესაბამისად, სექტორი შედარებით ნაკლები რისკების წინაშე დგას.

ეკონომეტრიკული მოდელირების შედეგები მიუთითებს, რომ მოკლევადიან პერიოდში CBAM-ის მაკროეკონომიკური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე შეზღუდული იქნება. შეფასების მიხედვით, 2026 წელს ექსპორტზე უარყოფითი ზემოქმედება დაახლოებით 10 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შემცირება 0.02%-ზე ნაკლები იქნება. მიუხედავად ამისა, გავლენა კონცენტრირებული იქნება კონკრეტულ ინდუსტრიებში, განსაკუთრებით სასუქებისა და რკინისა და ფოლადის სექტორებში, სადაც CBAM-ის სერტიფიკატებთან დაკავშირებულმა დამატებითმა შესაბამისობის ხარჯებმა შესაძლოა გარკვეული გამოწვევები შექმნას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ CBAM-ის მნიშვნელობა მის უშუალო ეკონომიკურ ეფექტებს სცილდება. აღნიშნული მექანიზმი საერთაშორისო ვაჭრობის უფრო ფართო ტრანსფორმაციაზე მიუთითებს, სადაც ემისიის მაჩვენებლები სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბაზარზე წვდომასა და კონკურენტუნარიანობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ინსტრუმენტების დანერგვას სხვა სავაჭრო პარტნიორებიც განიხილავენ, მოსალოდნელია, რომ ქართველი მწარმოებლებისა და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის დროული ადაპტაციის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

საქართველოს მზადყოფნის გაძლიერებისა და სამომავლო რისკების შემცირების მიზნით, ანგარიში რეკომენდაციას უწევს სათბურის აირების ემისიების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ეროვნული სისტემის დანერგვას, დაბალნახშირბადიან ტექნოლოგიებსა და ენერგოეფექტურობაში ინვესტიციების მხარდაჭერას, ბიზნესების ცნობიერებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე ემისიების შიდა დაბეგვრის ინსტრუმენტებისა და საერთაშორისო კლიმატურ და სავაჭრო ტენდენციებთან შესაბამისი სხვა მარეგულირებელი მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობის შეფასებას.

შესავალი

ევროკავშირის ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმი (CBAM) საერთაშორისო კლიმატის და სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უახლეს ინიციატივას წარმოადგენს. მექანიზმი ევროკავშირის მწვანე შეთანხმებისა (European Green Deal) და კლიმატის დღის წესრიგის ფარგლებში შეიქმნა და მიზნად ისახავს ნახშირბადის გაჟონვის (carbon leakage) პრევენციას, ადგილობრივ და უცხოელ მწარმოებლებს შორის თანაბარი კონკურენტული პირობების უზრუნველყოფასა და ევროკავშირის კლიმატური პოლიტიკის მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში, მაღალი ემისიური ინტენსივობის მქონე შერჩეული პროდუქციის იმპორტიორებს მოუწევთ იმპორტირებულ საქონელში არსებული სათბურის აირების ემისიების დეკლარირება და 2026 წლიდან შესაბამისი CBAM-ის სერტიფიკატების შეძენა.

საწყის ეტაპზე, CBAM ვრცელდება რამდენიმე მაღალი ნახშირბადინტენსივობის სექტორზე, მათ შორის, რკინა და ფოლადზე, ალუმინზე, ცემენტზე, სასუქებზე, წყალბადსა და ელექტროენერგიაზე. ამასთანავე, ევროკავშირში მიმდინარე პოლიტიკის განხილვები მიუთითებს, რომ მომავალში მექანიზმის მოქმედების არეალი შესაძლოა დამატებით პროდუქტებსა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა ინდუსტრიებზეც გავრცელდეს. შედეგად, მოსალოდნელია, რომ CBAM საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების, ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ფორმირების სულ უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა.

საქართველოსთვის CBAM-ის დანერგვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის, როგორც ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორის როლისა და ასოცირების შეთანხმებითა (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ CBAM-ით მოცული პროდუქციის წილი საქართველოს მთლიან საექსპორტო სტრუქტურაში შედარებით შეზღუდულია, რამდენიმე სექტორს ევროკავშირის ბაზართან მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირები აქვს და შესაძლოა დამატებითი შესაბამისობის ხარჯებისა და ანგარიშგების მოთხოვნების წინაშე აღმოჩნდეს. შესაბამისად, აღნიშნული გავლენების მასშტაბის შეფასება და შესაბამისი პოლიტიკის რეაგირების ღონისძიებების იდენტიფიცირება როგორც საჯარო ინსტიტუტებისთვის, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ კონტექსტში, წინამდებარე კვლევა აფასებს CBAM-ის პოტენციურ გავლენას საქართველოს ეკონომიკასა და შესაბამის სასაქონლო ჯგუფებზე. შეფასება მოიცავს სავაჭრო ტენდენციების, სექტორული მოწყვლადობის, კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების, წარმოების სტრუქტურისა და შესაბამისი სექტორების სათბურის აირების ემისიების მახასიათებლების ანალიზს. ასევე განხილულია CBAM-ის შესაძლო ეკონომიკური შედეგები სხვადასხვა სცენარის პირობებში და იდენტიფიცირებულია პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადაპტაციასა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

კვლევა ფოკუსირებულია CBAM-ის რეგულირების ქვეშ მოქცეულ იმ სასაქონლო ჯგუფებზე, რომლებიც საქართველოს საექსპორტო სტრუქტურისთვის რელევანტურია, კერძოდ: სასუქებზე, რკინა და ფოლადზე, ალუმინსა და ცემენტზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სექტორებს, რომლებიც ერთდროულად ხასიათდებიან მაღალი საექსპორტო პოტენციალითა და CBAM-თან დაკავშირებული ხარჯების მიმართ მაღალი მოწყვლადობით.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: პირველ თავში წარმოდგენილია CBAM-ის მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვა და განხილულია მისი გავლენა საქართველოზე; მეორე თავი აანალიზებს საქართველოს მოწყვლადობას CBAM-ის მიმართ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებისა და ეკონომეტრიკული მოდელირების საფუძველზე; მესამე თავი აჯამებს ძირითად მიგნებებს და განიხილავს შესაძლო შემარბილებელ ღონისძიებებს; ხოლო მეოთხე თავი მოიცავს პოლიტიკის რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკისა და შესაბამისი ინდუსტრიების ეფექტიან ადაპტაციას საერთაშორისო სავაჭრო და კლიმატის პოლიტიკის ცვალებად გარემოსთან.

CBAM სისტემა და საქართველოს ეკონომიკა

1.1. CBAM-ის მიმოხილვა

ევროკავშირის ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმი (Carbon Border Adjustment Mechanism, CBAM)¹ წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დანერგილ სისტემას, რომლის მიზანია წარმოების პროცესში გამოყოფილ სათბურ აირებზე სამართლიანი ფასწარმოქმნის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ევროკავშირის და EFTA (European Free Trade Association, EFTA) არაწევრი ქვეყნების ექსპორტის და ევროკავშირის და ეფტას წევრი ქვეყნების ადგილობრივი წარმოების ნახშირბადის ფასების გათანაბრებაში, და საბოლოო ჯამში, გლობალურად უფრო სუფთა წარმოების დანერგვაში, მათ შორის ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ CBAM-ს და ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემას (EU ETS) აქვთ ერთიანი მიზანი - ნახშირბადტევად სექტორებში სათბურის აირების ემისიების ფასის შემოღება. ორივე სისტემა ემსახურება ევროკავშირის კლიმატური მიზნის მიღწევას, რაც არის 2030 წელს 1990 წელთან შედარებით სათბური აირების ემისიის სულ მცირე 55%-ით შემცირება, ხოლო 2050 წლისთვის - კლიმატნეიტრალობის მიღწევა.

CBAM-ის განხორციელება 2 ეტაპად არის დაგეგმილი: პირველი ეტაპი არის ე.წ. გარდამავალი ეტაპი, რომელიც მოქმედებს 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე, როდესაც კომპანიებს მოეთხოვებათ მხოლოდ ანგარიშების წარდგენა, ყოველგვარი გადასახადის გარეშე. კერძოდ, იმპორტიორები წარადგენენ კვარტალურ ანგარიშს წინა კვარტალში იმპორტირებულ პროდუქტებში ემისიების ოდენობაზე, რაც მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ ემისიებს და ასევე, ინფორმაციას ნახშირბადის გადასახადის გადახდის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ბოლო ასეთი ანგარიშის წარდგენა 2025 წლის მე-4 კვარტლისთვის მოხდება 2026 წლის 31 იანვრამდე.

2026 წლიდან, მოხდება CBAM-ის სრული ამოქმედება, როდესაც ანგარიშების წარდგენასთან ერთად, ევროკავშირში იმპორტიორებს მოეთხოვებათ ნახშირბადის გადასახადის გადახდა (რომელიც წარმოადგენს ექსპორტიორ ქვეყანაში გადახდილ ნახშირბადის გადასახადსა და ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემით განსაზღვრულ ნახშირბადის ღირებულებას შორის სხვაობას), სერტიფიკატების შეძენის გზით.

1 სრული ინფორმაცია CBAM-ის შესახებ არის მოცემულ ლინკზე: https://taxation-customs.ec.europa.eu/carbon-border-adjustment-mechanism_en#where-to-report

CBAM-ის მარეგულირებელი პაკეტი შედგება შემდეგი საკანონმდებლო აქტებისგან:

- ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2023 წლის 10 მაისის N2023/956 რეგულაცია ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმის შექმნის შესახებ (შემდგომში, დამტკიცების რეგულაცია);
- ევროკომისიის 2023 წლის 17 აგვისტოს N2023/1773 განმარტებული რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2023 წლის 10 მაისის N2023/956 რეგულაციის გამოყენების წესებს გარდამავალ პერიოდში CBAM-ის მიზნებისთვის ვალდებულებების ანგარიშგებასთან მიმართებით;
- ევროკომისიის 2024 წლის 18 დეკემბრის N2024/3210 განმარტებული რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2023 წლის 10 მაისის N2023/956 რეგულაციის გამოყენების წესებს CBAM-ის რეესტრთან მიმართებით;
- ევროკომისიის 2025 წლის 17 მარტის N2025/486 განმარტებული რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2023 წლის 10 მაისის N2023/956 რეგულაციის გამოყენების წესებს CBAM-ის ავტორიზებულ დეკლარანტთან დაკავშირებულ პირობებთან და პროცედურებთან მიმართებით.

წარმოდგენილ საკანონმდებლო აქტებს შორის ძირითადს წარმოადგენს ე.წ. დამტკიცების რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს CBAM-ის მოქმედების ძირითად პროცედურებს, პრინციპებს და მოთხოვნებს.

აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, CBAM-ის მიზანია ნახშირბადის ემისიების გლობალური შემცირება, ნახშირბადის გაჟონვის პრევენცია, სამართლიანი კონკურენციის პირობების შექმნა და ამავე დროს, მესამე ქვეყნებში (ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში) მწარმოებელთა წახალისება, გამოიყენონ უფრო კლიმატოგადასარსებელი და „მწვანე“ ტექნოლოგიები და შეამცირონ ნახშირბადის ემისიები.

რეგულაციის მიზნებისთვის, სათბური აირების ემისიები შესაბამისია N2003/87/EC დირექტივის დანართი 1-ით განსაზღვრული ემისიებისა, კერძოდ, ესენია ნახშირორჟანგი(CO₂), აზოტის ქვეჟანგი(N₂O) და პერფტორნახშირბადები (PFCs).

სასაქონლო კოდების ჩამონათვალი, რომელსაც ეხება რეგულაცია, მოცემულია რეგულაციის დანართ 1-ში², ხოლო დანართი 2 განსაზღვრავს იმ პროდუქტების სასაქონლო კოდებს, რომლებისთვისაც ითვლება მხოლოდ პირდაპირი ემისიები (რკინა და ფოლადი, ალუმინი, წყალბადი).

რეგულაციის მიხედვით, ევროკავშირის იმპორტიორ კომპანიებს აქვთ ვალდებულება, დარეგისტრირდნენ ევროკავშირში მოქმედ სპეციალურ რეესტრში და შეიძინონ CBAM სერტიფიკატები, რომელთა ფასი განისაზღვრება ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემის (EU ETS) აუქციონების ყოველკვირეული საშუალო ფასით (ევრო/ტონა CO₂-ზე). აღნიშნული საშუალო

2 დანართი 1 ასევე აკონკრეტებს ისეთ სასაქონლო კოდებს, რომლებიც არ ხვდებიან CBAM რეგულაციაში, როგორიცაა, მაგალითად, ფეროსილიკომანგანუმი, ფეროსილიკოქრომი და სხვა.

ფასი 2025 წლის ივნისის მონაცემებით შეადგენს 72.6 ევროს 1 ტონა CO₂-ეკვ-ზე³. იმ კვირებისთვის, როდესაც აუქციონი არ შედგა, ფასი განისაზღვრება წინა კვირის საშუალო ფასით. ფასები ქვეყნდება ევროკომისიის მიერ დადგენილ ერთიან პლატფორმაზე⁴.

იმპორტიორები გადიან სპეციალური ავტორიზაციის პროცესს, რომლისთვისაც აპლიკაციების მიღება დაიწყო 2025 წლის 31 მარტიდან. ავტორიზებული იმპორტიორები ხვდებიან ევროკავშირის სპეციალურ CBAM რეესტრში⁵. გარდა ამისა, აღნიშნული რეესტრი საშუალებას აძლევს მწარმოებელ კომპანიებს, დარეგისტრირდნენ და წარმოადგინონ ინფორმაცია საკუთარი წარმოებისა და ემისიების თაობაზე. ეს ინფორმაცია გაზიარებული იქნება შესაბამის ავტორიზებულ იმპორტიორებთან, რაც გაამარტივებს დეკლარაციის პროცედურას.

რეგულაციის მიხედვით, ყოველი წლის 31 მაისამდე (ხოლო პირველად 2027 წელს) თითოეული ავტორიზებული CBAM დეკლარანტი CBAM-ის რეესტრის გამოყენებით წარადგენს CBAM-ის დეკლარაციას წინა წლისთვის, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- წინა წელს იმპორტირებული თითოეული სასაქონლო კოდის ოდენობა, გამოსახული მეგავატსაათებში ელექტროენერგიის შემთხვევაში და ტონებში - სხვა პროდუქტების შემთხვევაში;
- ამ პროდუქტების ემისიების ოდენობა, გამოსახული ტონა CO₂ეკვ-ში ელექტროენერგიის თითოეულ მეგავატსაათზე, ხოლო სხვა პროდუქტებისთვის - ტონა CO₂-ეკვ-ში პროდუქტის თითოეულ ტონაზე;
- გამოყენებული CBAM სერტიფიკატების რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დეკლარირებულ ემისიებს, ნახშირბადის გადასახადის გამოკლებით, რომელიც გადახდილია ექსპორტიორ ქვეყანაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სპეციალური აკრედიტაციის მქონე (ევროკავშირის N2018/2067 რეგულაციის მიხედვით აკრედიტირებული) პირების მომზადებული ვერიფიკაციის ანგარიშები, რომლებიც ადასტურებენ წარდგენილ ემისიებს.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, რეგულაციის მე-8 მუხლის მიხედვით, CBAM-ის ავტორიზებული დეკლარანტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დეკლარაციაში მითითებული განსაზღვრული ემისიები ვერიფიცირებული იყოს აკრედიტირებული პირის მიერ ამ რეგულაციის მე-18 მუხლის და დანართი 6-ის შესაბამისად.

აღნიშნული რეგულაციის მიზნებისთვის აკრედიტირებულ პირად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელსაც აკრედიტაცია მოპოვებული აქვს ევროკავშირის N2018/2067 განმახორციელებული

3 წყარო: <https://www.eex.com/en/market-data/market-data-hub/environmentals/eu-ets-auctions>

4 ევროკომისიის ინფორმაციით, 28 ქვეყანა (ევროკავშირის 25 წევრი, ასევე ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია) აუქციონისთვის იყენებს ერთიან პლატფორმას - European Energy Exchange (EEX) ლიპციგში (გერმანია). <https://www.eex.com/en/market-data/market-data-hub/environmentals/eu-ets-auctions>

5 https://taxation-customs.ec.europa.eu/carbon-border-adjustment-mechanism/cbam-registry-and-reporting_en. მასზე დაშვებას უზრუნველყოფენ კომპეტენტური უწყებები (სია - https://taxation-customs.ec.europa.eu/document/download/5595ce5b-9fd2-42f6-9908-ed6325338ffa_en?filename=20250428%20Updated%20provisional%20list%20of%20NCAs%20for%20CBAM.pdf)

რეგულაციის შესაბამისად. ამასთან, ევროკომისიას უფლება აქვს, დამატკიცოს დამატებითი აქტები, რომლითაც დადგინდება საქმიანობის ჯგუფები, რომელთა მიხედვითაც კვალიფიციური პირები ჩაითვლებიან აკრედიტირებულად CBAM-ის რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული აქტების მიღებამდე, სახელმძღვანელოდ მიღებულია N2018/2067 რეგულაცია მონაცემების ვერიფიკაციის და შესაბამისი პირების აკრედიტაციის შესახებ N2003/87/EC დირექტივის შესაბამისად. ეს უკანასკნელი დირექტივა აფუძნებს სათბური აირების ემისიებით ვაჭრობის სისტემას (EU ETS). შესაბამისად, დამატებითი აქტების მიღებამდე, CBAM-ის მიზნებისთვის აკრედიტირებულ პირებად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც აკრედიტირებული არიან EU ETS მიზნებისთვის. აღნიშნულ პირებს შორისაა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა Bureau Veritas, SGS, TÜV, Ernst&Young და სხვა⁶.

სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ CBAM-ის რეგულაციის მე-3 მუხლის 32-ე პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის ეროვნულ ორგანოებად (რომლებმაც უნდა განახორციელონ შესაბამისი პირების აკრედიტაცია) მიჩნეულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების აკრედიტაციის ეროვნული ორგანოები. შესაბამისად, CBAM-ის რეგულაციის მიზნებისთვის, ვერიფიკაციის ანგარიშის მომზადება შეეძლება მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული აკრედიტაციის ორგანოების მიერ აკრედიტირებულ პირებს.

რეგულაციის თანახმად, ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, ავტორიზებულმა იმპორტიორმა უნდა წარადგინოს წინა კვარტლისთვის CBAM-ის ანგარიში, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- იმპორტირებული პროდუქციის მოცულობას, მწარმოებლების მიხედვით;
- ემისიების ოდენობას;
- არაპირდაპირი ემისიების ოდენობას;
- წარმოშობის/წარმოების ქვეყანაში გადახდილ ნახშირბადის გადასახადს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როგორც უკვე აღინიშნა, CBAM-ის დამტკიცების რეგულაციას აქვს რამდენიმე დანართი, მათ შორის საყურადღებოა დანართი 4, რომელიც ადგენს განსაზღვრული ემისიების (embedded emissions) გაანგარიშების მეთოდებს (რეგულაციის მე-7 მუხლის შესაბამისად). განსაზღვრული ემისიები მოიცავს როგორც პროდუქტის წარმოების შედეგად წარმოქმნილ პირდაპირ ემისიებს, ისე არაპირდაპირ ემისიებს, რომლებიც წარმოიქმნება ამ პროდუქტის წარმოებაში გამოყენებული ელექტროენერგიის მოხმარების შედეგად.

მე-4 დანართის შესაბამისად, სპეციფიური განსაზღვრული ემისიები წარმოადგენს 1 ტონა საქონლის წარმოებასთან დაკავშირებულ ემისიებს, რომელიც გამოიხატება ტ CO₂ექვ-ში 1 ტონა საქონელზე.

6 <https://european-accreditation.org/wp-content/uploads/2018/10/eu-mrv-list-nab-2.pdf>

აღნიშნული დანართის შესაბამისად, პროდუქტებისთვის სპეციფიური განსაზღვრული ემისიების გაანგარიშების ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$SEE_g = \frac{(AttrEm_g + EEInpMat)}{ALg}$$

სადაც:

- SEE_g არის საქონელი g-ს სპეციფიური განსაზღვრული ემისიები, გამოსახული ტ CO₂ექვ-ში;
- $AttrEm_g$ არის საქონელი g-ს წარმოების შედეგად მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიების ჯამი;
- EE_{InpMat} არის საქონლის წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის წარმოების შედეგად გამოყოფილი ემისიები, რომლებიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით - , საიდანაც M_i არის i ნედლეულის მასა, რომელიც გამოიყენება წარმოებაში, ხოლო SEE_i არის i ნედლეულის წარმოების შედეგად წარმოქმნილი სპეციფიური განსაზღვრული ემისიები.
- ALg არის g საქონლის წარმოების მოცულობა.

ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სპეციფიური განსაზღვრული ემისიები, რომლებიც გამოისახება CO₂ექვ ტონებში 1 ტონა წარმოებულ საქონელზე, მიიღება ამ საქონლის წარმოების შედეგად გამოყოფილი ჯამური ემისიების (სადაც გაითვალისწინება ყველანაირი პირდაპირი და არაპირდაპირი ემისია, მათ შორის მოხმარებული ელექტროენერგიის და გამოყენებული ნედლეულის წარმოების შედეგად გამოყოფილი ემისიები) გაყოფით საქონლის მოცულობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მეთოდით შეუძლებელია განსაზღვრული ემისიების გაანგარიშება, გამოიყენება ე.წ. სტანდარტული ინდიკატორები (default values). აღნიშნული ინდიკატორები განისაზღვრება თითოეული საექსპორტო ქვეყნის და თითოეული საექსპორტო საქონლის ემისიების საშუალო ინტენსივობის მიხედვით. როდესაც ამის განსაზღვრაც შეუძლებელია, მაშინ სტანდარტულ ინდიკატორებად აღებულია EU ETS-ში მონაწილე ყველაზე ცუდი მაჩვენებლების მქონე საწარმოების X%-ის ემისიების საშუალო ინტენსივობა. X-ის მნიშვნელობა განისაზღვრება ცალკე ევროკომისიის აქტებით.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 26 თებერვლის საკანონმდებლო პაკეტის (Omnibus package) ნაწილად ევროკომისიამ წარადგინა CBAM-ის გამარტივების წინადადებები. აღნიშნული წინადადებების შესაბამისად, შეთავაზებულია CBAM-ის გამარტივება მცირე იმპორტიორებისთვის ე.წ. დე-მინიმის წესის შემოღებით, რომლის მიხედვითაც CBAM-ის მოთხოვნები არ ეხება წელიწადში 50 ტონამდე იმპორტს. აღნიშნული ზღვარი შეეხება ერთ იმპორტიორზე საშუალოდ 80 ტონა CO₂-ის ექვივალენტს და შესაბამისად, CBAM-დან გამორიცხავს იმპორტიორების დაახლოებით 90%-ს, თუმცა ემისიების 99% კვლავ რჩება CBAM-ის რეგულაციაში დიდი იმპორტიორების ხარჯზე.

გარდა ამისა, წარდგენილი წინადადებების მიხედვით, გამარტივდება ავტორიზაციის პროცესი, ემისიების გაანგარიშება და CBAM-ის რეგულაციით მოთხოვნილი ფინანსური ვალდებულებები.

გამარტივების წინადადებები ამ ეტაპზე წარმოადგენს საკანონმდებლო ინიციატივას და არ არის დამტკიცებული.


ევროკომისია შეაგროვებს ინფორმაციას CBAM-ის განხორციელების პროცესში, რომელიც გამოყენებული იქნება სამომავლოდ CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებული პროდუქტების სიის გაფართოებისთვის (გაფართოება სავარაუდოდ მოიცავს EU ETS-ით განსაზღვრულ სხვა სასაქონლო კოდებს), ასევე რეგულაციის მე-2 დანართით განსაზღვრულ პროდუქტებზე არაპირდაპირი ემისიების დაანგარიშების ვალდებულების გავრცელებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ევროკომისიას უკვე დაწყებული აქვს. კერძოდ, განხილვაშია რეგულაციის გავრცელება ე.წ. „მეორად პროდუქტებზე“ (downstream products), რომლებიც შედის ღირებულებათა ჯაჭვში. საუბარია, ძირითადად, რკინის და ალუმინის მეორად პროდუქტებზე და ამ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები.

1.2. CBAM-ის მიმართება საქართველოსთან

როგორც ზემოთ აღინიშნა, CBAM-ის რეგულაცია ეხება საქონლის 6 კატეგორიას. ესენია, ალუმინი, რკინა და ფოლადი, სასუქები, ცემენტი, ელექტროენერგია და წყალბადი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში ბოლო წლების განმავლობაში ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, ევროკავშირის წილი მთლიან ექსპორტში მცირდება (2018 წლის 21.6%-დან 2025 წლის 12%-მდე).

დიაგრამა 1. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში



წყარო: საქსტატი


რაც შეეხება CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებულ სასაქონლო ჯგუფებს, ბოლო წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი სასაქონლო ჯგუფები, რომლის ექსპორტს საქართველო ახორციელებს ევროკავშირში, არის რკინა და ფოლადი, ალუმინი და სასუქები. ცემენტის ექსპორტი ფაქტობრივად ნულის ტოლია, საქართველო ჯერ არ ახორციელებს ელექტროენერგიის ექსპორტს ევროკავშირში, ასევე ტრადიციულად საქართველო არ ახდენს წყალბადის ექსპორტს.

ცხრილი 1. CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებული სასაქონლო კატეგორიების ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ალუმინი (მლნ. \$)	2.6	1.9	0.08	0.1	0.1	0.1	0.3	0.2
წილი მთლიან ექსპორტში (%)	16.5	14.3	0.7	0.5	0.5	0.5	1.3	0.8
რკინა და ფოლადი (მლნ. \$)	11.2	3.8	2.2	3.6	6.9	5.8	20.3	18.9
წილი მთლიან ექსპორტში (%)	13.1	5.2	6.5	5.8	10.7	15.6	33.9	32.2
სასუქები (მლნ. \$)	42.8	32.5	24.4	47.3	18.6	36.3	28.8	64.3
წილი მთლიან ექსპორტში (%)	46.1	33.9	33.7	39.4	6.6	22.8	24.1	48.4
ცემენტი (მლნ. \$)	0	0	0	0.0004	0.0002	0	0	0.0007
წილი მთლიან ექსპორტში (%)	0	0	0	4	0.01	0	0	0.4

წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2. 2025 წლის CBAM-ის პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში (მლნ. აშშ დოლარი და % წილი მთლიან ექსპორტში აღნიშნულ კატეგორიებში)



წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილი 1. და დიაგრამა 2. აჩვენებს, CBAM-ს დაქვემდებარებული ძირითადი საექსპორტო კატეგორიები საქართველოსთვის არის რკინა და ფოლადი და სასუქები.

რაც შეეხება კონკრეტულ CN კოდებს, რომელსაც CBAM რეგულაცია ეხება, არის შემდეგი სურათი:

1. ალუმინი


ალუმინის კატეგორიაში არის 14 კოდი, აქედან:

- ევროკავშირში ბოლო 7 წელიწადში ექსპორტი გავიდა 12 კოდით, თუმცა, ყველაზე მსხვილი იყო 3 კოდი (7601 - ალუმინი დაუმუშავებელი, 7610 - ლითონკონსტრუქციები ალუმინისა და 76130000 - ალუმინის ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის).
- გლობალურად, მთელ მსოფლიოში დასახელებული 14 კოდიდან ექსპორტი ხორციელდება გარკვეული მასშტაბით 14-ვე კოდით. საქართველოს ექსპორტის ყველაზე მსხვილი კატეგორიები მსოფლიოში მოიცავს შემდეგ კოდებს - 7601 (დაუმუშავებელი ალუმინი), 7604 (წნელები და პროფილები ალუმინისა), 7607 (ალუმინის კილიტა).
- 7601 კოდში მსხვილი საექსპორტო ქვეყნებია თურქეთი და ჩინეთი. ევროკავშირის წილი ძალიან მცირეა (0.5% 2025 წელს).
- 7604 კოდში ევროკავშირში ექსპორტი ფაქტობრივად ნულის ტოლია და ძირითადი საექსპორტო ბაზრებია დსთ-ს ქვეყნები.
- 7607 კოდში ევროკავშირში ექსპორტი ფაქტობრივად არ ხდება, ძირითადი საექსპორტო ბაზარია დსთ-ს ქვეყნები.

ცხრილი 2. ალუმინის ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი (CBAM-ის მხოლოდ ის კოდები, სადაც ექსპორტი ფიქსირდება)

CN	კატეგორია		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ალუმინი სულ (ყველა CBAM კოდი)		EU	2.6	1.9	0.1	0.1	0.1	0.1	0.3	0.2
		მსოფლიო	15.8	13.3	11.6	21.1	21.1	18.2	23.0	25.6
7601	ალუმინი დაუმუშავებელი	EU	2.6	1.9	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
		მსოფლიო	13.6	10.2	8.0	16.0	14.2	6.7	9.7	11.2
7604	წნელები და პროფილები ალუმინისა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.4	0.9	1.8	2.4	3.5	7.2	8.0	8.5
7605	მავთული ალუმინისა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	-	0.0	-	-	-	0.0	-
7606	ფილები, ფურცლები, ზოლები ალუმინისა სისქით 0,2 მმ-ზე მეტი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	0.3	0.5	0.3	0.5	0.5	0.8	0.5
7607	ალუმინის კილიტა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.0	0.7	0.6	1.1	1.3	1.4	2.2	1.9
7608	მილები და მილაკები ალუმინისა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.2	0.0	-	-	-	0.1	0.1	0.1
76090000	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის ალუმინის	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	0.0	-	0.0	0.1	0.1	0.0	0.1
7610	ლითონკონსტრუქციები ალუმინისა	EU	-	-	-	-	0.0	0.0	0.1	-
		მსოფლიო	0.5	0.7	0.3	0.9	1.2	1.8	2.4	2.0
76130000	ალუმინის ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის	EU	-	-	-	-	-	-	0.0	-
		მსოფლიო	-	-	-	-	-	-	0.0	0.1
7614	დაგრეხილი მავთული, გვარლები, ზონრები და ანალოგიური ნაწარმი ალუმინისგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.5	0.1	0.0	0.1	-	-	0.1	0.1
7616	სხვა ნაწარმი ალუმინისაგან	EU	-	0.0	-	0.0	0.0	0.0	-	-
			0.1	0.1	0.2	0.1	0.2	0.3	0.4	1.0

დიაგრამა 3. ალუმინის ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

2. რჩინა და ფოლადი

რჩინის და ფოლადის კატეგორიაში შედის 46 კოდი, აქედან:



- ევროკავშირში ბოლო წლებში ექსპორტი გავიდა 31 კოდით, თუმცა, ყველაზე მსხვილი ექსპორტი განხორციელდა 720241 (ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას.-%-ზე მეტი) და 7304 (მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან) კოდებით. აღსანიშნავია, რომ ისეთი მსხვილი სასაქონლო კოდი საქართველოს ექსპორტისთვის, როგორიცაა 720230 (ფეროსილიკომანგანუმი) არის CBAM-ის რეგულაციის გამონაკლისებში.
- გლობალურად, მთელ მსოფლიოში დასახელებული 46 კოდიდან საქართველოს ექსპორტი ხორციელდება, გარკვეული მასშტაბით, 40 კოდით. ექსპორტის ყველაზე მსხვილი კატეგორიები მსოფლიოში მოიცავს შემდეგ კოდებს - 720241 (ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას.-%-ზე მეტი), 7214 (წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე), 7304 (მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან).
- 720241 კოდში ევროკავშირის წილი არის 49% (2025 წლის მონაცემებით).
- 7214 კოდში ევროკავშირის წილი მთლიან ექსპორტში ნულის ტოლია. მთლიანი ექსპორტი გადის დსთ-ს ქვეყნებში, ძირითადად სომხეთში.
- 7304 კოდში ევროკავშირის წილი მთლიან ექსპორტში 48%-ია. სხვა საექსპორტო ბაზრებია აშშ, თურქეთი, უკრაინა, ირანი და სხვა.

ცხრილი 3. რკინის და ფოლადის ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი (CBAM-ის მხოლოდ ის კოდები, სადაც ექსპორტი ფიქსირდება)

CN	კატეგორია		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
რკინა და ფოლადი (ყველა CBAM კოდი)		EU	11.2	3.8	2.2	3.5	6.9	5.8	20.3	18.9
		მსოფლიო	85.8	73.1	33.8	62.4	64.1	37.1	59.9	58.7
720211	ფერომაგანუმი, ნახშირბადის შემცველობით 2 მას%-ზე მეტი	EU	-	-	-	0.1	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	-	-	0.2	0.2	-	-	-
720219	დანარჩენი ფერომაგანუმი, ნახშირბადის შემცველობით 2 მას%-ზე ნაკლები	EU	2.7	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	5.1	0.4	-	-	-	0.3	-	-
720241	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას%-ზე მეტი	EU	-	-	-	-	-	0.3	3.4	1.3
		მსოფლიო	-	-	-	-	-	1.8	10.0	2.7
720260	ფერონიკელი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	-	0.9	-	-	-
7203	პროდუქტები რკინის მადნის პირდაპირი აღდგენისა და სხვა ღრუბლოვანი რკინა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	0.1	-	-	-	-
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	22.6	31.0	13.5	27.1	18.1	0.6	0.5	-
7218	ფოლადი კოროზიამდე დევი სხმულებში ან სხვა პირველად ფორმებში	EU	-	-	-	-	-	-	0.1	-
		მსოფლიო	-	-	-	-	-	-	0.1	-
7208	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცხლად ნაგლინი	EU	-	-	-	-	-	0.1	-	-
		მსოფლიო	-	-	-	-	-	4.6	-	-
7209	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცივად ნაგლინი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	0.1	-	0.1	0.1	0.1	-	0.1
7210	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	3.0	1.3	0.4	-	0.5	0.8	0.6	1.0
7211	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან ნაკლები, მიუტკეციელი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	0.1	0.2	0.1	0.1	0.1
7212	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ-ზე ნაკლები, მიტკეციელი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	0.2	-	-	-	0.1	0.1	4.0
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	EU	-	-	-	-	2.1	-	-	-
		მსოფლიო	18.5	9.0	5.3	7.7	17.0	1.3	8.3	0.1
7215	წნელები სხვა ნახშირბადიანი ფოლადისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	-	0.1	-	-	-
7216	კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	3.8	2.8	2.4	2.5	2.3	2.1	2.1	2.5
7217	მავთული ნახშირბადიანი ფოლადისაგან	EU	-	-	-	-	0.1	-	-	-
		მსოფლიო	0.1	0.1	0.3	0.1	0.2	0.6	0.4	1.4
7219	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდე დევი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	-	0.1	-	-	-

CN	კატეგორია		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
რკინა და ფოლადი (ყველა CBAM კოდი)		EU	11.2	3.8	2.2	3.5	6.9	5.8	20.3	18.9
		მსოფლიო	85.8	73.1	33.8	62.4	64.1	37.1	59.9	58.7
7222	წნელები სხვა, კოროზიამედეგი ფოლადისგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	-	-	-	-	-	-	-
7225	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	-	-	0.2	0.2	0.6
7226	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან ნაკლები	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	0.1	-	-	-	-
7228	წნელები ლეგირებული ფოლადისგან, სხვა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.2	-	-	-	0.5	0.2	0.1	-
7229	მავთული სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	0.1	-	-	-	0.1	0.2	0.1
7301	კონსტრუქციები ნარანდიანი შავი ლითონებისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	-	-	-	-	0.1	-	-	0.2
7302	ნაწარმი შავი ლითონებისაგან, გამოსაყენებელი სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	-	0.3	2.5	0.1	-	-	0.1
7303	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები თუვის სხმულებისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	-	-	-	0.1	0.1	-	-
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან	EU	6.8	3.5	1.4	3.0	4.1	5.0	16.2	16.4
		მსოფლიო	14.6	13.1	5.0	6.8	13.0	13.2	29.5	34.1
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან	EU	-	-	-	-	0.1	-	-	-
		მსოფლიო	1.3	1.8	0.2	0.7	0.3	0.2	0.2	0.5
7307	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან	EU	0.1	0.1	0.5	-	-	-	-	-
		მსოფლიო	1.1	1.1	0.5	0.1	0.7	0.1	0.3	0.3
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	EU	1.0	0.1	0.1	0.2	0.0	0.1	-	-
		მსოფლიო	7.7	5.4	3.0	11.9	5.4	6.2	4.1	6.2
7309	რემზერვუარები, ცისტერნები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, 300 ლიტრი და მეტი ტევადობის	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	2.9	1.9	0.5	0.7	1.5	1.0	0.1	0.5
7310	ცისტერნები, კასრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, არა უმეტეს 300 ლიტრი ტევადობისა	EU	-	-	-	-	-	-	0.1	0.8
		მსოფლიო	0.1	0.2	-	0.1	0.1	0.1	0.2	0.9
7311	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის შავი ლითონებისაგან	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.2	0.3	0.1	0.1	0.3	0.1	0.1	0.4
7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან	EU	-	0.1	0.1	0.1	0.1	0.2	0.1	-
		მსოფლიო	1.0	0.6	1.0	0.6	0.7	1.0	1.0	1.0
7326	ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან	EU	0.5	0.1	0.1	0.1	0.2	0.1	0.1	0.1
		მსოფლიო	3.0	3.6	0.8	0.8	1.4	1.7	1.4	1.4

დიაგრამა 4. რკინის და ფოლადის ექსპორტი საქართველოდან (მლნ. აშშ დოლარი) და ფეროსი-ლოკომანგანუმის ექსპორტი საქართველოდან (გამონაკლისი CBAM-დან)



წყარო: საქსტატი

3. სასუქები


სასუქების კატეგორიაში შედის 5 კოდი. აქედან:

- ევროკავშირში ბოლო წლებში ექსპორტი გავიდა 2 კოდით, თუმცა, ყველაზე მსხვილი ექსპორტი განხორციელდა 3102 (სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი) კოდით.
- გლობალურად, მთელ მსოფლიოში ექსპორტი გარკვეული მასშტაბით ხორციელდება 5-ვე კოდით. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ყველაზე მსხვილი კოდია 3102. აღნიშნულ კოდში, ევროკავშირის წილი (2025 წლის მონაცემებით) შეადგენს 48.6%-ს. დანარჩენი საექსპორტო ბაზრები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და მოიცავს როგორც დსთ-ს ქვეყნებს, ისე ინდოეთს, აფრიკის ქვეყნებს და ა.შ.

ცხრილი 4. სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი (CBAM-ის მხოლოდ ის კოდები, სადაც ექსპორტი ფიქსირდება)

CN	კატეგორია		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
სასუქები (ყველა CBAM კოდი)		EU	42.8	32.5	24.4	47.4	18.6	36.3	28.8	64.3
		მსოფლიო	92.8	95.8	72.4	120.2	282.1	159.0	119.8	132.7
2814	ამიაკი უწყლო ან წყალ-სხნარში	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	0.1	0.1	0.3	0.1	0.1	0.1	0.1
28342100	კალიუმის ნიტრატები	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.1	-	-	-	-	-	-	-
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	EU	42.7	32.2	24.3	47.3	18.6	36.1	28.5	64.3
		მსოფლიო	92.0	94.8	72.3	119.5	281.4	158.4	118.9	132.1
3105	სასუქები მინერალური ან ქიმიური აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით	EU	0.1	0.3	0.1	-	-	0.2	0.3	-
		მსოფლიო	0.6	0.9	0.1	0.4	0.5	0.4	0.7	0.6

დიაგრამა 5. სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

4. ცემენტი


ცემენტის კატეგორიაში შედის 6 კოდი. აქედან:

- ბოლო წლებში, ევროკავშირში ცემენტის ექსპორტი იყო მინიმალური.
- გლობალურად, მთელ მსოფლიოში ექსპორტი გარკვეული მასშტაბით ხორციელდება 3 კოდით. აქედან, ყველაზე მსხვილი კოდია 25231000 (ცემენტის კლინკერი, შეღებილი ან შეუღებავი). ამ კოდში ევროკავშირის წილი ნულის ტოლია და ძირითადი საექსპორტო ბაზარია სომხეთი.

ცხრილი 5. ცემენტის ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი (CBAM-ის მხოლოდ ის კოდები, სადაც ექსპორტი ფიქსირდება)

CN	კატეგორია		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ცემენტი (ყველა CBAM კოდი)		EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.9	0.5	-	-	2.7	1.8	0.7	3.7
25231000	ცემენტის კლინკერი, შეღებილი ან შეუღებავი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.5	0.5	-	-	1.7	0.9	0.5	2.8
25232900	დანარჩენი პორტლანდცემენტი, ხელოვნურად შეღებილი ან შეუღებავი თეთრი პორტლანდცემენტის გარდა	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.06	0.01	-	-	1.0	0.9	0.1	0.9
25233000	ცემენტი თიხამიწოვანი, შეღებილი ან შეუღებავი	EU	-	-	-	-	-	-	-	-
		მსოფლიო	0.3	-	-	-	-	-	-	-

დიაგრამა 6. ცემენტის ექსპორტი საქართველოდან, მლნ. აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება, საქართველოში CBAM-ს დაქვემდებარებული პროდუქციის წარმოებას, სურათი არის შემდეგი:

1. **ცემენტი.** საქსტატის მონაცემებით, 2018-2023 წლებში⁷, ცემენტის სექტორის გამოშვება გაიზარდა 120%-ით (2018 წლის 398.5 მლნ. ლარიდან 2023 წლის 876.7 მლნ. ლარამდე). აქედან, მცირე საწარმოებზე, 2023 წლის მონაცემებით, მოდის გამოშვების 7% (2018 წელს - 9%), ხოლო დანარჩენი ნაწილდება მსხვილ და საშუალო საწარმოებზე⁸. რაც შეეხება დასაქმებას, სექტორში დასაქმება შემცირდა 7%-ით (2018 წლის 1947 დასაქმებულიდან 2023 წლის 1810 დასაქმებულამდე). აქედან, მცირე საწარმოებზე მოდის დასაქმებულების 18.3% 2023 წლის მონაცემებით (2018 წლის 26.3% შედარებით).
2. **სასუქები.** 2018-2023 წლებში, სასუქების სექტორის გამოშვება გაიზარდა 65.4%-ით (2018 წლის 392.5 მლნ. ლარიდან 2023 წლის 649.3 მლნ. ლარამდე). აღნიშნულ პერიოდში, სექტორში დასაქმება შემცირდა 9.3%-ით, 2018 წლის 2967 დასაქმებულიდან 2023 წლის 2691 დასაქმებულამდე.
3. **ალუმინი, რკინა და ფოლადი.** საქსტატის მიერ მოწოდებული მონაცემებიდან, შეუძლებელია რკინის, ფოლადის და ალუმინის ინდივიდუალური წარმოების გამოყოფა, ვინაიდან მსხვილ კატეგორიაში გაერთიანებულია ყველა ლითონი და ლითონის ნაკეთობა. გარდა ამისა, დეტალური მონაცემების მოთხოვნისას, 3-ზე ნაკლები მწარმოებლის არსებობის პირობებში, არ ხდება მონაცემების გასაჯაროება (მაგალითად ფეროქრომის წარმოების მონაცემები).

გამსხვილებული კატეგორიების (ძირითადი ლითონების წარმოება; ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა) მონაცემების მიხედვით, 2018-2023 წლებში, ძირითადი ლითონების სექტორის გამოშვება შემცირდა 3.6%-ით (2018 წლის 1 653.9 მლნ. ლარიდან 2023 წლის 1 593.6 მლნ. ლარამდე). აქედან, 2023 წლის მდგომარეობით, მსხვილ საწარმოებზე მოდის გამოშვების 85.4%, საშუალოზე - 9.2%, ხოლო მცირეზე - 5.4%. ამავე პერიოდში, სექტორის დასაქმება შემცირდა 26.9%-ით (2018 წლის 9276 დასაქმებულიდან 2023 6778 დასაქმებულამდე).

რაც შეეხება ლითონის მზა ნაწარმის სექტორს, გამოშვება გაიზარდა 129.9%-ით (2018 წლის 309.6 მლნ. ლარიდან 2023 წლის 711.8 მლნ. ლარამდე). აქედან, 2023 წლის მდგომარეობით, მსხვილ საწარმოებზე მოდის გამოშვების 27%, საშუალოზე - 42.3%, ხოლო მცირეზე - 30.7%. ამავე პერიოდში, სექტორში დასაქმება გაიზარდა 35.2%-ით (2018 წლის 3661 დასაქმებულიდან 2023 წლის 4950 დასაქმებულამდე).

რაც შეეხება CBAM-ს დაქვემდებარებული პროდუქციის წარმოების ემისიებს, აღნიშნული მონაცემები აღებულია 2024 წლის სათბური აირების ინვენტარიზაციის ეროვნული დოკუმენტიდან⁹.

7 ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემები

8 სტატისტიკური მონაცემებიდან შეუძლებელია მსხვილი და საშუალო საწარმოების ზუსტი გამოშვების იდენტიფიცირება, რადგან აღნიშნულ კატეგორიებში არის 3-ზე ნაკლები მწარმოებელი. შესაბამისად, მონაცემების საჯაროობის შემთხვევაში, აღნიშნული მწარმოებლების იდენტიფიცირება მოხდებოდა და დაირღვეოდა კომერციული საიდუმლოების პრინციპი.

9 National Greenhouse Gas Emission and Removals Inventory, Document of Georgia (1990-2022)

ცხრილი 6. ემისიების მაჩვენებლები¹⁰

ინდუსტრია	სათბური აირები	საწარმოები	ემისია (Gg CO2 ექვ.)			
			2020	2021	2022	2023
ცემენტი	CO2 SO2	პეიდელბერგ ცემენტი (რუს-თავი, კასპი)	729.53(CO2) 0.73 (SO2)	682.41(CO2) 0.71 (SO2)	773.03(CO2) 0.63 (SO2)	964.35 (CO2) 0.74 (SO2)
ამონიუმი	CO2 NOx CO	სს რუსთავის აზოტი	550,52 0.24 0.02	510,04 0.22 0.02	541,85 0.24 0.02	517.22 0.24 0.02
აზოტმჟავა (HNO3)	N2O NOx	რუსთავის აზოტი	222.36 4.20	201.59 3.80	222.49 4.20	206.24 -----
ფოლადი	CO2 CH4	შპს „რუსთავის ფოლადი“, შპს „ჯეოსთილი“ და შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“	14.68	16.78	18.02	19.40
ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფეროსილიციუმი და ფერომანგანუმი)	CO2 CH4	შპს „ჯორჯიან მანგანუმი“, შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯია, შპს ჯეო ენტერპრაიზი, შპსჯორჯიან ელლის გრუპი, შპს რუსელისი, შპს ჯი თი ემ გრუპი და სხვ.	428.95 12.13	452.04 12.78	475.56 13.44	478.44 13.74

აღსანიშნავია, რომ CBAM-ის შესაძლო გავლენასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და არსებული საერთაშორისო შეფასებები აჩვენებს შემდეგს:

- მოკლევადიან პერიოდში ნეგატიური ზეგავლენა CBAM-ს დაქვემდებარებულ სექტორებზე - ზეგავლენის მასშტაბი დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე, სექტორზე და კომპანიაზე.
- საშუალოვადიან პერიოდის ეკონომიკური ეფექტები დამოკიდებულია CBAM-ის შესაძლო გაფართოებაზე და სხვა ქვეყნების მიერ CBAM-ის მსგავსი მექანიზმის შესაძლო შემოღებაზე (მაგ: აშშ).
- გრძელვადიან პერიოდში ნეგატიური ეფექტი მცირეა.
- ეფექტი მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე (მშპ-ზე) მცირეა ყველა სცენარით.
- CBAM-ის ეკონომიკური ზეგავლენა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა კლიმატთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული პოლიტიკა, ინდუსტრიებში არსებული საწარმოო პროცესები, ინდუსტრიების მიერ გამოყენებული ენერგიის წყაროები.
- CBAM-ის ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად მნიშვნელოვანია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სისტემებში, მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით.
- ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ენერგეტიკული სისტემების დეკარბონიზაცია და ენერგიის სუფთა წყაროებში (ქარი, მზე) ინვესტიციების განხორციელების წახალისება. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესაბამისი საექსპორტო ინდუსტრიების გამწვანებას და მათი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.
- CBAM-ის ნეგატიური ზეგავლენის შემცირების და მწვანე ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ბერეკეტია ნახშირბადის გადასახადის შემოღება.

10 დოკუმენტი არ მოიცავს მონაცემებს ალუმინის წარმოების ემისიების შესახებ

CBAM-ის ზეგავლენა საქართველოზე

2.1. CBAM-ის გზავლენის და პაქრობაზე ზემოქმედების ინდექსები

გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა (Revealed Comparative Advantage (RCA))

- აღნიშნული ინდექსი აჩვენებს ქვეყნის ფარდობით უპირატესობას კონკრეტული პროდუქციის წარმოებაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, რაც გამოვლენილია ამ ქვეყნის სავაჭრო მაჩვენებლებში.
- RCA-ის ინტერპრეტაციის მიზნებისთვის, >1 მაჩვენებელი აჩვენებს, რომ ქვეყანას აქვს გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა კონკრეტულ პროდუქტში, <1 მაჩვენებელი აჩვენებს, რომ ქვეყანას არ აქვს კონკრეტულ პროდუქტში გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა, ხოლო $=1$ მაჩვენებელი აჩვენებს ქვეყნის ნეიტრალურ პოზიციას კონკრეტულ პროდუქტთან მიმართებით. ანალიზის მიზნებისთვის, შეფასება ეყრდნობა 2019-2024 წლის ვაჭრობის მონაცემებს. ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია UN Comtrade-ს მონაცემები¹¹.

ცხრილი 7. გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა (RCA) CBAM-ის კატეგორიებში

RCA	2019	2020	2021	2022	2023	2024
ალუმინი	0.41	0.41	0.52	0.38	0.34	0.41
რკინა და ფოლადი (ფეროსილიკომანგანუმის გამოკლებით)	0.61	0.34	0.41	0.34	0.19	0.33
სასუქები	9.78	8.19	8.27	12.42	9.99	9.91
ცემენტი	0.19	0.00	0.00	0.77	0.47	0.15
ელექტროენერგია	1.13	1.08	1.28	3.05	5.19	2.68

როგორც ცხრილი 7 აჩვენებს, საქართველოს აქვს აშკარა გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა სასუქებში. რკინის და ფოლადის ინდექსიდან ამოღებულია ფეროსილიკომანგანუმი (ვინაიდან ის წარმოადგენს გამოწვევის CBAM-დან) და შესაბამისად, აღნიშნული იწვევს ინდექსის დაბალ მაჩვენებელს, რადგან ფეროსილიკომანგანუმს მოცემულ სასაქონლო კატეგორიაში მნიშვნელოვანი წილი უკავია. რაც შეეხება ელექტროენერგიას, ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია სეზონურობა, როდესაც წყალუხვობის პერიოდში არის ჭარბი წარმოება და ექსპორტი, თუმცა, ზამთრის სეზონზე აღნიშნულს არ აქვს ადგილი.

¹¹ <https://comtradeplus.un.org/TradeFlow>

ორმხრივი გამოვლენილი უარდობითი უპირატესობა (BILATERAL REVEALED COMPARATIVE ADVANTAGE (BRCA))

- აღნიშნული ინდექსი დაითვლება ორ ქვეყანას (ან ქვეყნების ჯგუფებს) შორისდა აჩვენებს ერთი ქვეყნის საექსპორტო უპირატესობას მეორე ქვეყნის ბაზარზე.
- BRCA-1 ზომავს შემდეგს: საქართველოდან ევროკავშირში კონკრეტული პროდუქტის ექსპორტის წილი საქართველოდან ევროკავშირში მთლიან ექსპორტში რამდენჯერ აღემატება იგივე პროდუქტის ევროკავშირში დანარჩენი მსოფლიოდან ექსპორტის წილს მთლიან ექსპორტში. ანუ, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, საქართველოდან ევროკავშირში კონკრეტული პროდუქტის უფრო მეტი პროპორციით ექსპორტის შემთხვევაში საქართველოს აქვს უპირატესობა.
- BRCA-2 ზომავს შემდეგს: კონკრეტული პროდუქტისთვის, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის წილი რამდენჯერ მაღალია საქართველოდან მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ექსპორტის წილთან შედარებით. ანუ ეს ინდექსი ითვლის, მსოფლიოში საქართველოდან კონკრეტული პროდუქტის ექსპორტის წილთან შედარებით რამდენჯერ მაღალია ამ კონკრეტული პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტის წილი.
- ანალიზის მიზნებისთვის შეფასება ეყრდნობა 2019-2024 წლის ვაჭრობის მონაცემებს. ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია UN Comtrade-ს მონაცემები. ანალიზი არ მოიცავს ელექტროენერგიას, ვინაიდან ამ ეტაპზე არ ხდება მისი ექსპორტი ევროკავშირში.

ცხრილი 8. ორმხრივი გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა CBAM-ის კატეგორიებში (საქართველო-ევროკავშირი)

BRCA-1	2019	2020	2021	2022	2023	2024
ცემენტი	0.000004	0.000000	0.001613	0.000054	0.000000	0.000000
სასუქები	18.307	15.298	24.447	7.451	31.328	29.324
რკინა და ფოლადი	0.183	0.132	0.146	0.288	0.317	1.370
ალუმინი	0.197	0.009	0.012	0.010	0.014	0.040

BRCA-2	2019	2020	2021	2022	2023	2024
ცემენტი	0.000010	0.000000	0.437573	0.000038	0.000000	0.000000
სასუქები	1.601	1.612	2.331	0.427	1.974	2.754
რკინა და ფოლადი	0.246	0.308	0.340	0.693	1.367	3.871
ალუმინი	0.684	0.033	0.034	0.039	0.062	0.130

ორივე BRCA აჩვენებს, რომ საქართველოს აქვს გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობა ევროკავშირის ბაზარზე სასუქებისა და რკინისა და ფოლადის კატეგორიებში.

CBAM ზემოქმედების ინდექსი (CBAM EXPOSURE INDEX)

- აღნიშნული ინდექსი შემუშავებულია მსოფლიო ბანკის მიერ. ფარდობითი ინდექსი აჩვენებს CBAM-ის რეგულაციის გავლენის ეფექტს კონკრეტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე ევროკავშირის ბაზარზე, ანუ ფარდობითი მაჩვენებელი განსაზღვრავს იმ დამატებით ხარჯს, რომელსაც იხდიან კონკრეტული პროდუქტის ექსპორტიორები CBAM სერტიფიკატებში ევროკავშირის საშუალო მწარმოებლებთან

შედარებით. ამასთან, აგრეგირებული ინდექსი წარმოადგენს შეწონილ საშუალო მაჩვენებელს CBAM რეგულაციით მოცული ყველა პროდუქტისთვის.

- მსოფლიო ბანკის დაშვებების მიხედვით, 1 ტონა ნახშირბადის ფასი არის 100 აშშ დოლარი, ასევე მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებულია თითოეული პროდუქტის ნახშირბადტევადობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულია აღნიშნული პოტენციური დამატებითი ხარჯი.
- ვინაიდან არსებული ინდექსები ეფუძნება ვაჭრობის 2019 წლის მონაცემებს, კვლევის ფარგლებში, მოხდა აღნიშნული ინდექსის გადაანგარიშება 2019-2024 წლების ვაჭრობის განახლებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო ნახშირბადტევადობის მაჩვენებელი და ნახშირბადის ფასი ფიქსირებულია. ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია UN Comtrade-ს მონაცემები.
- აღსანიშნავია, რომ ინდექსები დათვლილია მხოლოდ რკინისა და ფოლადის და სასუქების შემთხვევაში, ასევე აგრეგირებული. სხვა კატეგორიების შემთხვევაში დაანგარიშება აზრს მოკლებულია, ვინაიდან არ არსებობს ვაჭრობის საკმარისი მონაცემები (ანალოგიური მიდგომა აქვს მსოფლიო ბანკსაც).

ცხრილი 9. CBAM ზემოქმედების ინდექსი

CBAM-ის ზემოქმედების ფარდობითი ინდექსი	2019	2020	2021	2022	2023	2024
სასუქები	0.081	0.081	0.094	0.016	0.055	0.058
რკინა და ფოლადი	0.010	0.012	0.011	0.020	0.029	0.063
აგრეგირებული	0.046	0.050	0.054	0.013	0.031	0.045

როგორც ცხრილი 9 აჩვენებს, რკინის და ფოლადის შემთხვევაში, 2019 წლის შემდეგ, განსაკუთრებით კი 2024 წელს, ფარდობითი ინდექსი გაიზარდა და შესაბამისად, გაიზარდა CBAM-ის პოტენციური გავლენა ამ სექტორზე. ინდექსის მაჩვენებელი დამოკიდებულია ემისიების ოდენობაზე და ექსპორტის წილზე ევროკავშირში. ვინაიდან, ემისიების ოდენობა ფიქსირებულია, რკინის და ფოლადის სექტორში ინდექსის მკვეთრი ზრდა გამოწვეულია ამ პროდუქტების ევროკავშირში ექსპორტის წილის ზრდით. კერძოდ, თუ 2019 წელს ევროკავშირში ექსპორტის წილი იყო 5.3%, 2024 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 33.8%, რამაც ინდექსის მკვეთრი ზრდა გამოიწვია.

საპირისპირო სურათია სასუქების სექტორში. 2019 წლის ინდექსის მიხედვით, CBAM-ს პოტენციურად ძალიან მაღალი გავლენა ექნებოდა სექტორზე, თუმცა, 2024 წლის მონაცემებით, ინდექსი არის შემცირებული (თუმცა, კვლავ რჩება საკმაოდ მაღალი), რაც ევროკავშირში სასუქების ექსპორტის წილის შემცირებითაა განპირობებული (2019 წელს - 34%, 2024 წელს - 24.2%).

რაც შეეხება აგრეგირებულ მაჩვენებელს, აღნიშნული წარმოადგენს CBAM-ს დაქვემდებარებული პროდუქტების საშუალო მაჩვენებელს და კვლავ მაღალი რჩება ბოლო მონაცემებით, რომელთა მიხედვით ევროკავშირის მწარმოებლებთან შედარებით საქართველოს ექსპორტორებისთვის CBAM სერტიფიკატების დამატებითი ხარჯი იქნება 4.5 აშშ დოლარი 1 ტონა CO2 ექვივალენტზე.

ექსპორტის პოტენციალის ინდექსი (EXPORT POTENTIAL INDEX (EPI))¹²

- აღნიშნული ინდექსი აჩვენებს ევროკავშირის ბაზარზე CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის ზრდის პოტენციალს. აღნიშნული ინდექსი შემუშავებულია International Trade Center (ITC)-ის მიერ და ასახულია ექსპორტის პოტენციალის რუკაზე, რომელიც აფასებს სხვადასხვა კატეგორიის საქონლის ექსპორტის პოტენციალს სხვადასხვა საექსპორტო ბაზარზე. წარმოდგენილი ანალიზის მიზნებისთვის, სასაქონლო კატეგორიებს შორის შერჩეულია ამონიუმის ნიტრატი (310230), ვინაიდან შეფასებულ სასაქონლო კატეგორიებს შორის მხოლოდ აღნიშნული ხვდება CBAM-ის რეგულაციაში.
- EPI ეფუძნება 3 ძირითად ინდიკატორს:
 - **საბაზისო ექსპორტი** - ბოლო 5 წლის ექსპორტის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი, რომლიდანაც აითვლება ექსპორტის პოტენციური მაჩვენებელი. საბაზისო მაჩვენებელი არ მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა რე-ექსპორტი, არაოფიციალური წყაროებიდან მიღებული მონაცემები, ასევე, მონაცემები ისეთ ექსპორტზე, რომელიც არ არის სისტემური.
 - **ექსპორტის პოტენციალი** - აღნიშნული ინდიკატორი აჩვენებს აშშ დოლარში გამოსახულ ექსპორტის პოტენციალს, რომელიც მიიღწევა საბაზისო ექსპორტის ბოლო მაჩვენებელიდან შემდეგი 6 წლის განმავლობაში (ამ შემთხვევაში საბაზისო ექსპორტის ბოლო მაჩვენებელი არის 2023 წლის, ხოლო პოტენციალი დაანგარიშებულია 2029 წლისთვის). თავის მხრივ ექსპორტის პოტენციალის ინდიკატორი ეფუძნება 3 კომპონენტს: 1) **მიწოდება**, რომელიც წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნის საპროგნოზო წილს გლობალურ ბაზარზე კონკრეტული სასაქონლო კოდის ექსპორტის კუთხით; 2) **მოთხოვნა**, რაც წარმოადგენს კონკრეტულ ბაზარზე აღნიშნული სასაქონლო კატეგორიის საპროგნოზო იმპორტს; 3) **ორმხრივი ვაჭრობის სიმარტივე**, რაც გულისხმობს საბაზისო ექსპორტის და საპროგნოზო ექსპორტის ფარდობას იმ გათვლით, რომ ექსპორტიორი ქვეყანა ამ სასაქონლო კოდს ყიდის პარტნიორ ქვეყანაში იგივე მაჩვენებლით, როგორც დანარჩენ მსოფლიოში.
 - **აუთვისებელი პოტენციალი** - აღნიშნული წარმოადგენს სხვაობას ექსპორტის პოტენციალსა და საბაზისო ექსპორტს შორის.
 - როგორც ზემოთ აღინიშნა, ანალიზის მიზნებისთვის აღებულია ამონიუმის ნიტრატი, რომელზეც პროექტის გუნდის შეფასებით CBAM-ს ექნება ყველაზე დიდი გავლენა. ამონიუმის ნიტრატის საექსპორტო პოტენციალი 2029 წლამდე შეფასებულია 44 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო აუთვისებელი საექსპორტო პოტენციალი - 26 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით.

საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნული ინდექსები აჩვენებს, რომ CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებული კატეგორიებიდან, ამ ეტაპზე საქართველოს შედარებითი კონკურენტუნარიანობა გააჩნია რკინის და ფოლადის და სასუქების სექტორში და სწორედ ეს სექტორებია მეტად მოწყვლადი CBAM-ის რეგულაციისადმი.

2.2. საქართველოში CBAM-ით გამოწვეული ეკონომიკური გავლენის ეკონომეტრიკული ანალიზი

CBAM რეგულაციის საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამის სექტორებზე გავლენის შეფასებისთვის პროექტის გუნდმა გამოიყენა ე.წ. Gravity მოდელი და დინამიური დანახარჯები-გამოშვების მოდელი (დანართი 2), რომელიც შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

მოდელირების დაუშვებები და თავისებურებები:

- Gravity მოდელის შეფასებისთვის ფართოდ გამოიყენება ექსპორტიორი ქვეყნის და იმპორტიორი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და ქვეყნებს შორის მანძილის ეკონომიკური მაჩვენებელი (proxy).
- ბოლო წლების (2018-2024) საქართველოს ექსპორტის მონაცემებიდან გამომდინარე, პროექტის გუნდმა შეფასებისთვის გამოყო 14 ძირითადი CBAM საექსპორტო კატეგორია (ყველაზე მსხვილი, სისტემური ექსპორტით). ესენია:

CN კოდი და მისი განმარტება	
ალუმინი	
7601	ალუმინი დამუშავებული
7604	წნელები და პროფილები ალუმინისა
რკინა და ფოლადი	
720241	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას. %-ზე მეტი
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7210	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე
7216	კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7217	მავთული ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები
სასუქები	
2814	ამიაკი უწყლო ან წყალხსნარში
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, ამოტოვანი
3105	სასუქები მინერალური ან ქიმიური ამოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით

პროექტის გუნდის მიზანს წარმოადგენდა, აღნიშნული საექსპორტო კოდების მიწოდების ელასტიურობის შეფასება. აღსანიშნავია, რომ მიწოდების ელასტიურობის შესაფასებლად, მიღებული პრაქტიკაა, მთელ მსოფლიოში (და არა ერთ ქვეყანაში ან ქვეყნების ჯგუფში) ექსპორტის მონაცემების ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანალოგიური მიდგომა იქნა გამოყენებული ამ კვლევის მიზნებისთვის.

- მიწოდების ელასტიურობის შეფასებისთვის, გამოყენებულ იქნა შემდეგი მოდელი:

$$\ln(\text{Ton}_{i,t}) = \alpha + \beta_1 \ln(\text{Ton}_{i,t-1}) + \beta_2 \ln(\text{Price}_t) + \beta_3 \ln(\text{GDP}_{\text{geo},t}) + \beta_4 \ln(\text{GDP}_{\text{world},t}) + u_{i,t}$$

Ton - საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა ტონებში

Price - ექსპორტირებული პროდუქციის საშუალო წლიური ფასი

GDP_{geo} - საქართველოს მშპ

GDP_{world} - მსოფლიო მშპ.

აღნიშნული მოდელის მიზანია, შეაფასოს თითოეული შერჩეული საექსპორტო კატეგორიისთვის, ექსპორტირებული მოცულობის (ტონებში) პროცენტული ცვლილების დამოკიდებულება ფასის პროცენტულ ცვლილებაზე, მშპ-ს პროცენტულ ცვლილებაზე და ექსპორტის წინა წლის ცვლილების მაჩვენებელზე (ეკონომეტრიკული შეფასების შედეგები მოცემულია დანართი 1-ში).

- პროექტის გუნდის წინაშე არსებული ამოცანისათვის პანელური მონაცემების ყველაზე შესაფერისი და თანამედროვე შეფასების მეთოდი არის Generalized Method of Moments (GMM) for Panel Data ეკონომეტრიკული მეთოდი, რომელიც იქნა გამოყენებული კვლევაში.
- მოდელირების მიზნებისთვის გამოყენებულია საქსტატის ექსპორტის მონაცემები და მსოფლიო ბანკის მშპ-ს მონაცემები (2015 წლის მუდმივ ფასებში).
- საექსპორტო კატეგორიების საშუალო ფასები დათვლილია ექსპორტის დოლარის ღირებულების შეფარდებით ექსპორტის ტონებთან.
- მოდელის მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს მიწოდების ელასტიურობის შეფასება, და იქიდან გამომდინარე, რომ CBAM-ის გადასახადი მოქმედებს, როგორც ფასის შემცირების ეფექტი, შეფასდეს ექსპორტის ნეგატიური შოკი. აქედან გამომდინარე, თითოეული კატეგორიისთვის დაანგარიშებულია CBAM-ის გადასახადი ფასის რა პროცენტს შეადგენს, რის შემდეგაც, ელასტიურობის მაჩვენებლის გამოყენებით, ფასდება ექსპორტზე უარყოფითი შოკი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეფასება იქნება ყველაზე პესიმისტური სცენარი, რადგან, ეს ფაქტიურად გულისხმობს, რომ ევროკავშირში ექსპორტის დამატებითი დაბეგვრის შედეგად, არ მოხდება ამ ექსპორტის სხვაგან გადამისამართება, არც რაიმე ცვლილება ადგილობრივ საკანონმდებლო ჩარჩოში ან კომპანიების ღონეზე ტექნოლოგიური გაუმჯობესება ემისიების შემცირების მიზნით.
- აღნიშნული მოდელი გამართლებულია, რადგან საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, ევროკავშირის გარდა, სხვა ქვეყნებიც (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, იაპონია და სხვა)¹³ გეგმავენ CBAM-ის მსგავსი მექანიზმის შემოღებას და შესაბამისად, საქართველოს ექსპორტის CBAM-ის არმქონე ქვეყნების ბაზრებზე გადამისამართების შესაძლებლობა ეტაპობრივად შეიზღუდება.

მოღეღიარების ძირითადი მიზნებია:

- ექსპორტის წინა წლის ცვლილების მაჩვენებელი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რაც მიუთითებს ექსპორტის ინერციულობაზე ანუ, თუ წინა წელს განხორციელდა გარკვეული კატეგორიის ექსპორტი, სავარაუდოა, რომ მისი ექსპორტი მიმდინარე წელსაც მოხდება. აღნიშნული მიგნება, ასევე, ამყარებს დინამიური პანელური მოდელის გამოყენების მიზანშეწონილობას.
- ფასის მიმართ ექსპორტის ელასტიურობა არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p=1\%$ მნიშვნელოვნების დონისთვის), რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული კატეგორიების ექსპორტის მოცულობა დადებითად არის დამოკიდებული პროდუქტის ფასზე. ექსპორტის ფასის მიმართ ელასტიურობის კოეფიციენტი არის 0.28, რაც ნიშნავს, რომ ფასის 1%-ით ზრდა იწვევს ექსპორტის მოცულობის (ტონებში) ზრდას 0.28%-ით. 95%-იანი სანდოობის ინტერვალის აღნიშნული კოეფიციენტისთვის არის 0.07-დან 0.49-მდე.

ლიაგნოსტიკური ტესტები

- მაღალი სანდოობის Hansen-ის და Difference-in-Hansen ტესტები ადასტურებენ პროექტის გუნდის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტების ვალიდურობას და ეგზოგენურობას. მოდელი გადის ძირითადი სპეციფიკაციის ტესტებს და არ აჩვენებს გადამეტებული იდენტიფიკაციის პრობლემას.

ექსპორტის ღირებულების (აუზ ღოლაგოი) ელასტიურობა

- გამომდინარე იქიდან, რომ ექსპორტის ღირებულება ითვლება ფასისა და ექსპორტირებული მოცულობის (ტონებში) ნამრავლით, და ტონებში ექსპორტის ელასტიურობა შეფასებულია როგორც 0.28%, ექსპორტის ღირებულების ელასტიურობა იქნება 0.28% (რაოდენობის ეფექტი) + 1% (ფასის ეფექტი) = 1.28%. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფასის 1%-იანი ცვლილება იწვევს ექსპორტის ღირებულების 1.28%-იან ცვლილებას იგივე მიმართულებით. აღნიშნული მაჩვენებელი გამოყენებულია CBAM-ის მიერ გამოწვეული ექსპორტის შოკის შესაფასებლად, ხოლო ექსპორტის შოკის მაჩვენებელი გამოყენებულია სხვადასხვა ეკონომიკურ პარამეტრზე CBAM-ის ეფექტის დასათვლელად.

CBAM-ის მაკროეკონომიკური გავლენა

CBAM-ის მაკროეკონომიკური გავლენის შეფასებისთვის, პროექტის გუნდმა გამოიყენა შემდეგი მონაცემები და დაშვებები:

- ემისიის ფაქტორი - თითოეულ სასაქონლო კოდზე აღებულია ემისიის ფაქტორები, რომლებიც გამოთვლილია 2024 წლის სათბური აირების ინვენტარიზაციის ეროვნული დოკუმენტიდან და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციიდან. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, ემისიის ფაქტორი აღებულია შესაბამისი ლიტერატურიდან და ღია წყაროებიდან.
- CBAM-ის ხარჯი -CBAM-ის პოტენციური ხარჯის დასათვლელად, აღებულია EU ETS-ის ფასი და დაშვებას წარმოადგენს, რომ აღნიშნული ფასი წლიურად 5%-ით იზრდება.

EU ETS-ის ფასის დინამიკა აჩვენებს, რომ აღნიშნული ფასი ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო მზარდი, თუმცა, ბოლო პერიოდში დასტაბილურდა. შესაბამისად, 5%-იანი ზრდის დაშვება არის საკმაოდ კონსერვატიული მიდგომა.

- სასაქონლო ფასები - CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებული სასაქონლო კოდების 1 ტონის საშუალო ფასი გაანგარიშებულია არსებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, 2%-იანი წლიური ინფლაციის დაშვებით. ასევე, გაანგარიშებულია CBAM-ის პოტენციური ხარჯი სასაქონლო კოდის 1 ტონის ღირებულების რა პროცენტს შეადგენს და შესაბამისად რა ეფექტი ექნება მას აღნიშნულ სასაქონლო კოდზე (საქონლის ფასის პროცენტული შემცირება CBAM-ის ეფექტის გათვალისწინებით, დანართი 3.1.).
- CBAM-ის ხარჯით გამოწვეული უარყოფითი შოკი ექსპორტზე - აღნიშნული შოკის მაქსიმალური მნიშვნელობის შესაფასებლად, აღებულია საქონლის ფასის პროცენტული შემცირება CBAM-ის ეფექტის გათვალისწინებით და გამრავლებულია ექსპორტის ღირებულების ელასტიურობაზე (1.28%). შედეგად, შეფასებულია თითოეული სასაქონლო კოდის ექსპორტის ნეგატიური შოკის პროცენტული მაჩვენებელი (დანართი 3.2.), ხოლო ამ მონაცემების ექსპორტის ბოლო მონაცემებზე გადამრავლებით, მიღებულია ნეგატიური შოკის მაჩვენებელი (აშშ დოლარში).
- თითოეული სასაქონლო კატეგორიისთვის ექსპორტის ნეგატიური გავლენის შეფასების შემდგომ, აღნიშნული ექსპორტის შოკი კორექტირებულ იქნა წლების მიხედვით. კერძოდ, მოკლევადიან პერიოდში (2026 – 2027 წ.) პროექტის გუნდის დაშვებით, კომპანიები ვერ მოახერხებენ მატალტექნოლოგიური, ეკო-მეგობრული ტექნოლოგიების დანერგვას. საშუალოვადიან პერიოდში (2028 – 2030 წ.) ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად შემცირებული CO₂-სა და მისი ექვივალენტების გაფრქვევების ყოველწლიური მაჩვენებლები შემცირდება 5%-ით, ხოლო გრძელვადიან პერიოდში (2031 – 2035 წ.) ეს მაჩვენებლები შემცირდება 10%-ით (ეს დაშვებები, ეყრდნობა ინტერვიუების დროს მიღებულ თვისობრივ და რაოდენობრივ შეფასებებს). ექსპორტზე უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შეფასებები დაჯამებულ იქნა NACE საქმიანობის კოდების მიხედვით. აღნიშნული ნეგატიური შოკების დინამიური დანახარჯები-გამოშვების მოდელში ასახვის შედეგად, ამ მოდელის მეშვეობით შეფასებულ იქნა საბაზისო სცენართან მიმართებაში რამდენად იცვლება მშპ, დასაქმება, ექსპორტი და იმპორტი დინამიური, გადადინებითი და კუმულაციური ეფექტების გათვალისწინებით. საგადასახდლო ბალანსზე გავლენის შესაფასებლად დათვლილია ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებებს შორის სხვაობა.

მოკლევადიანი სცენარი (2026-2027 წელი, ტექნოლოგიური ცვლილება არ ხდება)

- მოკლევადიან სცენარში, **ექსპორტის ნეგატიური შოკი (კონკრეტულად CBAM-ის კოდებისთვის)** 2026 წელს არის 10.0 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2027 წელს - 10.3 მლნ. აშშ დოლარი (დანართი 3.3). აქედან, პროცენტულად, ყველაზე დიდი ნეგატიური შოკი მოდის სასუქებზე - 75.7%, რკინაზე და ფოლადზე - 24.3%, ხოლო ალუმინზე ყველაზე მცირე შოკი - 0.03%. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: 1) ევროკავშირში ექსპორტის ყველაზე დიდი მოცულობა (აშშ დოლარში) მოდის სასუქებზე; 2) ყველაზე მცირე მოცულობა მოდის ალუმინზე; 3) ყველაზე მაღალი ემისიის ფაქტორი არის სასუქების ინდუსტრიაში; 4) ყველაზე დაბალი საშუალო ფასი მოდის ასევე სასუქებზე, რაც იწვევს CBAM-ის ხარჯის მაღალ უარყოფით პროცენტულ გავლენას ფასზე.

- გავლენა მთლიან ექსპორტზე - გადადინებითი ეფექტების გათვალისწინებით, 2026 წელს ექსპორტის შემცირება არის 10.8 მლნ. აშშ დოლარი საბაზისო სცენართან შედარებით, ხოლო 2027 წელს - კუმულატიური ეფექტის შედეგად, 13.1 მლნ. აშშ დოლარი.
- გავლენა მშპ-ზე - 2026-2027 წლებში მშპ-ზე უარყოფითი გავლენა შეადგენს 0.01%-ს.
- გავლენა დასაქმებაზე - 2026 წელს ნეგატიური გავლენა დასაქმებაზე შეადგენს 19 ადამიანს, ხოლო 2027 წელს - 71 ადამიანს.
- გავლენა იმპორტზე - 2026 წელს, იმპორტზე ნეგატიური გავლენა შეადგენს 5.4 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2027 წელს - 11.2 მლნ. აშშ დოლარს.
- გავლენა საგადასახდლო ბალანსზე - 2026 წელს ნეგატიური გავლენა საგადასახდლო ბალანსზე არის 5.37 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2027 წელს - 1.95 მლნ. აშშ დოლარი.

საშუალოვადიანი სცენარი (2030 წლამდე, 2028-2030 წლებში ექსპორტის უარყოფითი შოკის 5%-იანი შემცირება, ტექნოლოგიური განვითარების ხარჯზე)

- საშუალოვადიან სცენარში, **ექსპორტის ნეგატიური შოკი (კონკრეტულად CBAM-ის კოდეზისთვის)** 2028 წელს მცირდება 10.1 მლნ. აშშ დოლარამდე, კომპანიების მიერ მიღებული საპასუხო ზომების გამო, 2029 წელს ეს მაჩვენებელი არის 10.4 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2030 წელს - 10.7 მლნ. აშშ დოლარი (დანართი 3.3), რაც გამოწვეულია 1 ტონა ემისიაზე EU ETS-ის პროგნოზირებული გადასახადის ზრდით.
- გავლენა მთლიან ექსპორტზე - გადადინებითი ეფექტების გათვალისწინებით, 2028 წელს ექსპორტის შემცირება არის 14.4 მლნ. აშშ დოლარი საბაზისო სცენართან შედარებით, 2029 წელს - 16.4 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2030 წელს - კუმულატიური ეფექტის შედეგად, 18.6 მლნ. აშშ დოლარი.
- გავლენა მშპ-ზე - 2028-2030 წლებში მშპ-ზე უარყოფითი გავლენა შეადგენს 0.02%-ს.
- გავლენა დასაქმებაზე - 2028 წელს ნეგატიური გავლენა დასაქმებაზე შეადგენს 79 ადამიანს, 2029 წელს - 83 ადამიანს, ხოლო 2030 წელს - 86 ადამიანს.
- გავლენა იმპორტზე - 2028 წელს, იმპორტზე ნეგატიური გავლენა შეადგენს 12.5 მლნ. აშშ დოლარს, 2029 წელს - 13.9 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2030 წელს - 15.7 მლნ. აშშ დოლარს.
- გავლენა საგადასახდლო ბალანსზე - 2028 წელს ნეგატიური გავლენა საგადასახდლო ბალანსზე არის 1.91 მლნ. აშშ დოლარი, 2029 წელს - 2.44 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2030 წელს - 2.86 მლნ. აშშ დოლარი.

გრძელვადიანი სცენარი (2035 წლის ჩათვლით, 2031-2035 წლებში ექსპორტის უარყოფითი შოკის 10%-იანი შემცირება, ტექნოლოგიური განვითარების ხარჯზე)

- გრძელვადიან სცენარში, **ექსპორტის ნეგატიური შოკი (კონკრეტულად CBAM-ის კოდეზისთვის)** 2031 წელს არის 10.428 მლნ. აშშ დოლარი, კომპანიების მიერ მიღებული საპასუხო ზომების გამო, 2032 წელს - 10.734 მლნ. აშშ დოლარი, 2033 წელს - 11.050 მლნ. აშშ დოლარი, 2034 წელს - 11.375 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2035 წელს - 11.710 მლნ. აშშ დოლარი.


მლნ. აშშ დოლარი (დანართი 3.3), რაც ასევე გამოწვეულია 1 ტონა ემისიაზე EU ETS-ის პროგნოზირებული გადასახადის ზრდით.

- გავლენა მთლიან ექსპორტზე - გადადინებითი ეფექტების გათვალისწინებით, 2031 წელს ექსპორტის შემცირება არის 20.4 მლნ. აშშ დოლარი საბაზისო სცენართან შედარებით, 2032 წელს - 22.9 მლნ. აშშ დოლარი, 2033 წელს - 25.6 მლნ. აშშ დოლარი, 2034 წელს - 28.0 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2035 წელს - 30.7 მლნ. აშშ დოლარი.
- გავლენა მშპ-ზე - 2031-2035 წლებში მშპ-ზე უარყოფითი გავლენა შეადგენს 0.02%-ს, თითოეული წლისათვის.
- გავლენა დასაქმებაზე - 2031-2032 წლებში ნეგატიური გავლენა დასაქმებაზე შეადგენს 89 ადამიანს, 2033 წელს - 91 ადამიანს, 2034 წელს - 94 ადამიანს, ხოლო 2035 წელს - 97 ადამიანს.
- გავლენა იმპორტზე - 2031 წელს, იმპორტზე ნეგატიური გავლენა შეადგენს 17.4 მლნ. აშშ დოლარს, 2032 წელს - 19.1 მლნ. აშშ დოლარს, 2033 წელს - 21.2 მლნ. აშშ დოლარს, 2034 წელს - 23.1 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2035 წელს - 25.2 მლნ. აშშ დოლარს.
- გავლენა საგადასახდლო ბალანსზე - 2031 წელს ნეგატიური გავლენა საგადასახდლო ბალანსზე არის 3.05 მლნ. აშშ დოლარი, 2032 წელს - 3.82 მლნ. აშშ დოლარი, 2033 წელს - 4.41 მლნ. აშშ დოლარი, 2034 წელს - 4.94 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2035 წელს - 5.50 მლნ. აშშ დოლარი.

ცხრილი 10. CBAM-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

განსხვავება საბაზისო სცენართან	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
გავლენა ნომინალურ მშპ-ზე (%)	-0.01	-0.01	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02
გავლენა რეალურ მშპ-ზე (%)	-0.01	-0.01	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02	-0.02
გავლენა დასაქმებულთა რაოდენობაზე (კაცი)	-19	-71	-79	-83	-86	-89	-89	-91	-94	-97
გავლენა ექსპორტზე, მლნ.\$	-10.8	-13.1	-14.4	-16.4	-18.6	-20.4	-22.9	-25.6	-28.0	-30.7
გავლენა იმპორტზე, მლნ.\$	-5.4	-11.2	-12.5	-13.9	-15.7	-17.4	-19.1	-21.2	-23.1	-25.2

დიაგრამა 7. შოკის და საბაზისო სცენარებს შორის განსხვავება



რაც შეეხება წარმოების მაჩვენებლებს, ყველაზე დიდი ნეგატიური ეფექტი არის ქიმიური ნივთიერებების და ქიმიური პროდუქტების წარმოებაში, რომელშიც შედის სასუქები.

ცხრილი 11. რეალური წარმოების პროცენტული სხვაობა საბაზისო სცენართან (%)

	2026	2035
ქიმიური ნივთიერებებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება	-1.4	-0.76
ძირითადი ლითონების და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	-0.15	-0.18
მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	-0.02	-0.03
კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება	-0.01	-0.02
ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერის წარმოება	-0.01	-0.02
სამთომშოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	-0.01	-0.01

ძირითადი მიზნები და საპასუხო ღონისძიებები

წარმოდგენილი ეკონომეტრიკული ანალიზი, საერთაშორისო შეფასებები და ინდექსები აჩვენებს, რომ:

- CBAM-ის ყველაზე დიდი ნეგატიური ეფექტი მოსალოდნელია სასუქებზე, რაც გამოწვეულია მაღალი ემისიის ფაქტორით, პროდუქციის შედარებით დაბალი ფასით და ევროკავშირში მაღალი ექსპორტის მაჩვენებლით.
- ყველაზე ნაკლები ეფექტი მოსალოდნელია ალუმინზე, მცირე ექსპორტის და მაღალი ფასის გამო.
- ნეგატიური შოკის გავლენა ექსპორტზე არის დაბალი, როგორც CBAM კოდებზე, ისე მთლიან მაჩვენებელზე, მათ შორის გადადინებითი ეფექტების გათვალისწინებით.
- პატარა ნეგატიური გავლენა მშპ-ზე და დასაქმებაზე (10 წლიან პერიოდში ყველაზე დიდი უარყოფითი ეფექტი არ არის დაახლოებით 0.02% პროცენტი).
- ასევე, მცირეა გავლენა საგადასახდლო ბალანსზე. ექსპორტის ნეგატიური შოკის სიმცირის გარდა, ამ შემთხვევაში, დამატებითი დამაბალანსებელი ეფექტი აქვს იმპორტის შემცირებას.

მიუხედავად მცირე მაკროეკონომიკური ეფექტებისა, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია საპასუხო ღონისძიებებზე ფიქრი, ვინაიდან მხედველობაშია მისაღები ევროკავშირის მიერ CBAM მოცვის გაფართოება, ასევე CBAM-ის მსგავსი ინსტრუმენტის სხვა ქვეყნების მიერ შემოღება.

CBAM-ის ნეგატიური ეფექტის შემცირებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანამ მოახდინოს ნახშირბადის ხარჯის ინტერნალიზება¹⁴. აღნიშნული ასევე წარმოადგენს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების რეკომენდაციას და ზოგადად მსოფლიო პრაქტიკას. ამ მიზნით, პოტენციური გასატარებელი ზომები შესაძლებელია დაიყოს 2 ფართო ჯგუფად:

1. ნახშირბადის გადასახადის/მოსაჯრებლის შემოღება
2. ემისიებით ვაჭრობის სისტემის შექმნა/სხვა სისტემაზე მიერთება.

¹⁴ აღნიშნული გულისმობს CBAM-თან ან სხვა ანალოგიურ მექანიზმებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის ქვეყნიდან დამატებითი თანხების გადინების პრევენციას, ქვეყანაში შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნის გზით

აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფისთვის კრიტიკულ კომპონენტად რჩება ქვეყანაში MRV სისტემის ჩამოყალიბება, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს და კონკრეტულ წარმოებებს, ზუსტად დათვალონ ემისიები და ისე დაგეგმონ ღონისძიებები.

1. ნახშირბადის გადასახადი

ნახშირბადის გადასახადი/მოსაკრებელი წარმოადგენს კომპანიის/წარმოების გადასახადელს ყოველ გარემოში გამოფრქვეულ 1 ტონა CO₂-ის ექვივალენტზე. აღნიშნული ხელს უწყობს ემისიების გადასახადის ინტერნალიზებას, უბიძგებს კომპანიებს უფრო „მწვანე“ წარმოებაზე გადასვლისკენ.

ნახშირბადის გადასახადი შეიძლება შემოღებულ იქნას სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის საწვავზე და ენერგიაზე, ინდუსტრიულ სექტორებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონკურენციის დაცვა ქვეყნის შიგნით. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს დასაბეგრი ბაზა, ანუ რომელ სექტორებს და წარმოებებს შეეხება გადასახადი. შემდეგ უნდა განისაზღვროს გადასახადის ოდენობა, რომელიც უნდა იყოს ემისიების სოციალური და გარემოზე გავლენის ნეგატიური ეფექტის თანაზომადი. საერთაშორისო გამოცდილებით, სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, ნახშირბადის გადასახადი მერყეობს სიმბოლური 1\$-5\$-დან 130\$-135\$-მდე (ყველაზე მაღალი ნახშირბადის გადასახადი აქვს შვედეთს) 1 ტონა CO₂ ექვივალენტზე. ნახშირბადის გადასახადით მიღებული შემოსავლების გამოყენება სახელმწიფოს შეუძლია სხვადასხვა მიზნით: გარემოსდაცვით პროექტებში ინვესტირებისთვის, სხვა გადასახადების შემცირებისთვის (ბიზნესებზე საგადასახადო ტვირთის დაბალანსებისთვის), კომპანიებისთვის სპეციალური წამახალისებელი ზომების განხორციელებისთვის და სხვა.

2. ემისიებით ვაჭრობის სისტემა

აღნიშნული სისტემა წარმოადგენს საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემას სათბური აირების შემცირებისთვის, სადაც 1 ტონა CO₂ ექვივალენტის ფასი განისაზღვრება ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით და არ არის ფიქსირებული (როგორც ეს არის ნახშირბადის გადასახადის შემთხვევაში). აღნიშნული გამოიყენება უფრო განვითარებულ ქვეყნებში და მათ შორის, ყველაზე მსხვილი სისტემა აქვს ევროკავშირს.

ემისიებით ვაჭრობის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე კომპონენტი:

- **სექტორების განსაზღვრა** - სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ის სექტორები, რომლებიც დაიფარება ემისიებით ვაჭრობის სისტემით. მრავალ ქვეყანაში ასეთი სისტემა ფარავს მხოლოდ ენერგოგენერაციას და გადაცემას და ინდუსტრიულ სექტორებს. თუმცა, არის ქვეყნები, სადაც დაფარვა უფრო ფართოა და მოიცავს სხვა სექტორებსაც, როგორიცაა ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და სხვა.
- **ემისიების ზღვრების დადგენა** - სახელმწიფო ადგენს სისტემით მოცული სექტორებისთვის ჯამური ემისიების დასაშვებ ზღვარს, რომელიც შესაძლოა წლების განმავლობაში მცირდებოდეს.

- **კვოტების განსაზღვრა** - ემისიების ზღვრები შემდგომ იყოფა კვოტებად, რომლებიც ან იყიდება აუქციონის გზით, ან შესაძლოა განსაზღვრული იყოს ე.წ. უფასო კვოტები, როგორც დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმი სხვადასხვა სექტორისთვის.
- **სავაჭრო პლატფორმის შექმნა** - აღნიშნულ პლატფორმაზე ხდება აუქციონების გამართვა, სადაც კომპანიები ყიდიან და ყიდულობენ კვოტებს.
- **ჯარიმები** - იმ შემთხვევაში, თუ კომპანიები არ იცავენ ემისიების განსაზღვრულ ზღვრებს, გათვალისწინებული უნდა იყოს ჯარიმების სისტემა.

ზემოაღნიშნულის შედეგად, შეიძლება განისაზღვროს 2 სისტემის შედარებითი ანალიზი:

	ნახშირბადის გადასახადი	ემისიებით ვაჭრობის სისტემა
ფასის განსაზღვრის პრინციპი	ფიქსირებული	საბაზრო, ცვალებადი
ხარჯი მწარმოებლებისთვის	ინვესტ დამატებით ხარჯს	ინვესტ დამატებით ხარჯს ან დამატებით შემოსავალს, კონკრეტული მწარმოებლის ემისიების ოდენობიდან გამომდინარე
ემისიების შემცირება	ემისიების შემცირება მოსალოდნელია, თუმცა არ არის გარანტირებული და ცვლილების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია	კლებადი ზღვრებით უზრუნველყოფილია დასაშვები ემისიების ეტაპობრივი შემცირება
მოქნილობა	მოუქნელი	მოქნილი, დაფუძნებულია საბაზრო პრინციპებზე
ადმინისტრირება სახელმწიფოს მხრიდან	მარტივი	კომპლექსური
განხორციელების ხარჯი	ნაკლები	მეტი
ბიზნესის განწყობა	ნეგატიური, ვინაიდან შემოდის ახალი გადასახადი	ნეგატიური, მაგრამ ნაკლებად, ვინაიდან რჩება მეტი მოქნილობა

ზემოაღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ ორივე სისტემას აქვს თავისი სარგებელი და რისკები. ნახშირბადის გადასახადის შემოღება ადმინისტრირების კუთხით უფრო მარტივია და შესაძლებელია იყოს გამოსავალი მოკლევადიანი პერიოდისთვის. უფრო საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ემისიებით ვაჭრობის სისტემა არის უფრო ხელსაყრელი, ვინაიდან ის არის უფრო მოქნილი და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ემისიების ეტაპობრივ შემცირებას.

რეკომენდაციები

ეკონომეტრიკულ ანალიზსა და საერთაშორისო გამოცდილების შეფასებაზე დაყრდნობით, პროექტის გუნდის მიერ შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები CBAM-ის ნეგატიური ეფექტის შემცირებისთვის:

- **მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის დანერგვა საქართველოში** - აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ნებისმიერი შემდეგი ქმედებისთვის და რეკომენდაციისთვის. იმისათვის, რომ ქვეყანამ ზუსტად განსაზღვროს საქართველოში არსებული ემისიების ოდენობა და შეიმუშავოს სწორი ღონისძიებები. აღნიშნულის საპასუხოდ, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ემისიების აღრიცხვის გამართული სისტემა. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ე.წ. MRV სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოების მიერ ემისიების აღრიცხვას და მათ ვერიფიცირებას დამოუკიდებელი აკრედიტირებული ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული დაეხმარება საქართველოს, როგორც ემისიებთან დაკავშირებული ხარჯების ინტერნალიზებაში, ისე სხვა ღონისძიებების დაგეგმვაში, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის „მწვანე“ გარდაქმნას და ემისიებით ვაჭრობის სისტემაში ჩართვას.
- **საწარმოების მხარდაჭერა „მწვანე განვითარების“ მიმართულებით** - შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ შემუშავდეს მხარდაჭერის სპეციალური სქემა (მაგალითად, „აწარმოე საქართველოს“ ბაზაზე), რომელიც უზრუნველყოფს საწარმოების ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას უფრო ეკომეგობრული წარმოების დანერგვაში. აღნიშნულის ფარგლებში, შესაძლებელია მოხდეს სპეციალური ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა, რომელიც საწარმოებს დაეხმარება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში ემისიების შემცირების მიზნით. ტექნიკური დახმარების კომპონენტში, დონორების და სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია დაინერგოს ე.წ. „მწვანე აუდიტის“ ხელშეწყობა, რომელიც შეაფასებს საწარმოების არსებულ მდგომარეობას და საჭირო ნაბიჯებს, რაც უფრო „სუფთა“ წარმოებაზე გადასვლისთვისაა აუცილებელი.
- **საინფორმაციო შეხვედრები** - კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიებს შორის დაბალია ინფორმირებულობა არა მხოლოდ უშუალოდ CBAM-ის შესახებ, არამედ უფრო ზოგადად, სათბურის აირების ემისიების, მათი დათვლისა და შემცირების თაობაზე. აღნიშნულის შესახებ მეტწილად ინფორმირებულები არიან მსხვილი მწარმოებლები, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებში ეს ინფორმაცია ფაქტობრივად არ არსებობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განხორციელდეს საინფორმაციო შეხვედრები ან ინ-

ფორმაციის სხვა ფორმით მიწოდება (მაგ: სპეციალური ონლაინ პორტალი), რითაც მოხდება მწარმოებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ინფორმირება.

- **ემისიების ხარჯების ინტერნალიზება** - აღნიშნული წარმოადგენს არა მხოლოდ ენერგეტიკული გაერთიანების რეკომენდაციას, არამედ გამომდინარეობს საერთაშორისო პრაქტიკიდან. CBAM-ის შემოღება, საპასუხო ზომების გარეშე, გამოიწვევს ქვეყნიდან თანხების გადინებას, რაც ვერ მოხმარდება წარმოების შემდგომ „გამწვანებას“. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კონფიგურაციით CBAM-ის ნეგატიური ეფექტი ეკონომიკაზე და ექსპორტზე არის მცირე, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია სხვა ქვეყნების მიერ ანალოგიური მექანიზმების შემოღება, რაც ქვეყნისგან მოითხოვს საპასუხო ზომებს. აღნიშნულისთვის რამდენიმე შესაძლო გზა არსებობს:
- **ნახშირბადის მოსაკრებლის შემოღება** - საერთაშორისო გამოცდილება და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნებისთვის შესაძლოა აღნიშნული იყოს ემისიების ხარჯების ინტერნალიზების ლიმიტირებული, თუმცა ეფექტიანი გზა მოკლევადიან პერიოდში.
- **ემისიებით ვაჭრობის ადგილობრივი ბაზრის შექმნა** - აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს და მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, ემისიებით ვაჭრობის სისტემის სექტორების განსაზღვრა (იქნება ეს მხოლოდ ენერგეტიკა და ინდუსტრია, თუ სხვა სექტორებიც, როგორიცაა ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და სხვა), ემისიების ზღვრების განსაზღვრა, კვოტების განსაზღვრა, სავაჭრო პლატფორმის შექმნა და MRV სისტემის ჩამოყალიბება.
- **ემისიებით ვაჭრობის რეგიონულ სისტემაზე მიერთება** - შესაძლებელია უფრო ეფექტიანი იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკაში არსებული განსხვავებული მიდგომები.
- **EU ETS-ზე მიერთება** - გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს ევროაზიის რეგიონის და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში ქვეყნის წევრობის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს ოპტიმალური გზა, თუმცა, გასათვალისწინებელი იქნება ბევრი ფაქტორი და შესაქმნელი იქნება შესაბამისი ბაზისი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი).

პროექტის ფუნდის აზრით, არსებული ალტერნატივებიდან ოპტიმალურის შერჩევა საჭიროებს დამატებით კვლევას (feasibility study). შესაფასებელი იქნება ალტერნატივებთან დაკავშირებული სარგებელი და განსაკუთრებით, რისკები, მათ შორის წარმოებების სხვა ქვეყნებში გადასვლის საფრთხე, საწარმოებისთვის გაზრდილი ხარჯები, სახელმწიფოს მხრიდან გამართული რეგულირების საჭიროება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, ქვეყანაში ნახშირბადით ვაჭრობის კუთხით გამოცდილების არარსებობა და სხვა.

ქველვა	შინაარსი	პასუხისმგებელი პირი	სარგებელი	ხარჯი	გენერირება	პედა
MRV სისტემის დანერგვა	- საკანონმდებლო ბაზის შექმნა - ინსტიტუციური სისტემის აწყობა	- საქართველოს პარლამენტი - კანონმდებლობის მიღება; - საქართველოს მთავრობა (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) - ინსტიტუციური სისტემის შექმნა; - დონორები - ტექნიკური დახმარება სისტემის აწყობისთვის; საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის ინფორმირებისთვის	- სახელმწიფო - ემისიების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება; ემისიის დაბეგვრის შესაძლებლობის შექმნა - კომპანიები - ზუსტი ემისიების დათვლა, რაც სამომავლოდ გააძლიერებს ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობას; - აკრედიტებული ორგანოები - დამატებითი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობა	- სახელმწიფო - სისტემის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები; - კომპანიები - დამატებითი ხარჯები სისტემის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, რაც მოიცავს ემისიების დათვლის მეთოდოლოგიის შემუშავებას, პასუხისმგებელი პირების გამოყოფას, ვერიფიკაციის ანგარიშების მომზადებისთვის მესამე მხარის დაქირავებას; - აკრედიტებული ორგანოები - დამატებითი აკრედიტაციის მიღებისთვის საჭირო ხარჯი	პირდაპირი - სახელმწიფო/კომპანიები არაპირდაპირი - აკრედიტებული ორგანოები	მოკლევადიანი (2026-2027 წწ)
“მწვანე” ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მექანიზმები (ფინანსური)	სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ახალი მიმართულების დანერგვა “ანარმოვ საქართველოს” პროგრამების ფარგლებში (შეღავათიანი სესხის ან გრანტის სახით)	საქართველოს მთავრობა (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)	კომპანიები - ფინანსური მხარდაჭერა “მწვანე” ტექნოლოგიების დანერგვისთვის	სახელმწიფო - დამატებითი ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან შესაძლებელია დონორული დაფინანსების მოძიება	პირდაპირი - კომპანიები არაპირდაპირი - სახელმწიფო/ქვეყანა (უფრო მწვანე წარმოებაზე გადასვლის შედეგად, ემისიების შემცირების გამო)	მოკლევადიანი (2026-2027 წწ)
“მწვანე” ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მექანიზმები (ტექნიკური)	“მწვანე აუდიტის” სისტემის დანერგვა, რომელიც დაეხმარება კომპანიებს მწვანე განვითარების კუთხით საწარმოების გამოწვევების და პოტენციური გადაჭრის გზების იდენტიფიცირებაში	- სახელმწიფო - შეიძლება მოქმედებდეს ფინანსურ კომპონენტთან ერთად - დონორები	კომპანიები - უკეთ მომზადება მწვანე გარდაქმნისთვის, გამოწვევების იდენტიფიცირება	სახელმწიფო - დამატებითი ხარჯი, თუმცა, შესაძლებელია დონორული დაფინანსების გამოყენება	პირდაპირი - კომპანიები არაპირდაპირი - სახელმწიფო/ქვეყანა (უფრო მწვანე წარმოებაზე გადასვლის შედეგად, ემისიების შემცირების გამო)	მოკლევადიანი (2026-2027 წწ)
საინფორმაციო კამპანიები	საინფორმაციო კამპანიის წარმოება ინდუსტრიებისთვის „მწვანე“ განვითარების და კონკრეტულად CBAM-ის შესახებ	სახელმწიფო/დონორები	კომპანიები - ინფორმირებულობის გაზრდა	სახელმწიფო - დამატებითი ხარჯი, თუმცა, შესაძლებელია დონორული დაფინანსების გამოყენება	პირდაპირი - კომპანიები არაპირდაპირი - სახელმწიფო/ქვეყანა (ინფორმირებულობის გაზრდისა და უფრო მწვანე წარმოებაზე გადასვლის შედეგად, ემისიების შემცირების გამო)	მოკლევადიანი (2026-2027 წწ)
ნახშირბადის მოსაკრებელი	განხორციელდეს ტექნიკური (სამართლებრივი) განხორციელებადობის ანალიზი და რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) ნახშირბადის მოსაკრებლის შესაძლო შემოღებაზე, ყველა სარგებლის და ხარჯის დაანგარიშებით; მოხდეს საკითხის ფართო განხილვა ყველა დაკავშირებულ მხარესთან	საქართველოს მთავრობა - კვლევის განხორციელება და დიალოგის წარმოება დაინტერესებულ მხარეებთან; დონორები - საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა საჭირო კვლევების განხორციელებაში	სახელმწიფო - ემისიების ხარჯების ინტერნალიზება; დამატებითი შემოსავლების მობილიზება გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებისთვის; CBAM მოქმედ ქვეყნებში ექსპორტიორი კომპანიები - იმპორტიორი ქვეყნისთვის გადასახდელი ნახშირბადის გადასახადის შემცირება	კომპანიები - გაზრდილი გადასახადები	პირდაპირი - სახელმწიფო	საშუალოვადიანი (2026-2028 წწ)
ემისიებით ვაჭრობის სისტემა	საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას სახელმწიფოს მხრიდან, დონორების შესაძლო დახმარების გზით. განსახორციელებელია კვლევები, მათ შორის, ტექნიკური (სამართლებრივი) განხორციელებადობის ანალიზი და რეგულირების გავლენის შეფასება, რომელიც აჩვენებს აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს და მთლიანობაში ქვეყანაში აღნიშნული სისტემის შექმნის პერსპექტივებს. კვლევამ უნდა განიხილოს რამდენიმე ალტერნატივა, მათ შორის, ადგილობრივი სისტემის შექმნა, რეგიონულ სისტემაზე მიერთება ან EU ETS-ზე მიერთების შესაძლებლობა	საქართველოს მთავრობა - საკითხის სიღრმისეული შესწავლა, შესაბამისი კვლევების განხორციელება, დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი; დონორები - მთავრობის ტექნიკური მხარდაჭერა ღონისძიებების განხორციელებაში	სახელმწიფო - ემისიების ხარჯის ინტერნალიზება, ემისიების ეტაპობრივი შემცირება კერძო კომპანიები - ემისიებით ვაჭრობის საბაზრო მექანიზმის გამოყენებით, გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაკმაყოფილება, უფრო “მწვანე” წარმოების დანერგვის ნახაზისება; CBAM მოქმედ ქვეყნებში ექსპორტიორი კომპანიები - იმპორტიორი ქვეყნისთვის გადასახდელი ნახშირბადის გადასახადის შემცირება	სახელმწიფო - სისტემის ოპერირებისთვის საჭირო დამატებითი ხარჯები, რაც უკავშირდება სისტემის მონიტორინგს და ა.შ. კერძო კომპანიები - დაწესებულ ზღვრებზე მაღალი ემისიების შემთხვევაში, კომპანიებს მოუწევთ დამატებითი კვრების შექმნა	პირდაპირი - კომპანიები არაპირდაპირი - სახელმწიფო	გრძელვადიანი (2026-2030 წწ)

დანართი 1.

დინამიური პანელური მონაცემების შეფასება

Dynamic panel-data estimation, two-step system GMM

Group variable:	Product	Number of obs =	84
Time variable:	Year	Number of groups =	14
Number of instruments =	10	Obs per group: min	6
Wald chi2(4) =	7217.45	Obs per group: avg	6.00
Prob > chi2 =	0	Obs per group: max	6

LN_Ton	Coef.	Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]	
LN_Ton L1.	1.0725	0.0237109	45.23	0.000	1.0260	1.1190
LN_Price	0.2802	0.1070019	2.62	0.009	0.0705	0.4899
LN_GDP_GEO	2.8020	2.2879800	1.22	0.221	-1.6823	7.2864
LN_GDP_World	-4.8962	6.4973840	-0.75	0.451	-17.6308	7.8385
_cons	88.3824	154.9778	0.57	0.568	-215.3685	392.1334

დანართი 2.

დინამიური დანახარჯები-გამოშვების მოდელის აღწერა

დინამიური დანახარჯები-გამოშვების ცხრილებზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური მოდელი E3.GE მოიცავს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების ეკონომეტრიკულ შეფასებას (მეთოდი: OLS), გამოშვების და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ძირითადი კომპონენტების ანალიზს და მათ დისაგრეგაციას სექტორულ დონეზე. მოდელი შეიცავს სექტორულ კავშირებს დანახარჯები-გამოშვების ცხრილების საფუძველზე, რომლის წყაროს თავის მხრივ წარმოადგენს რესურსებისა და გამოყენების ცხრილები. სხვადასხვა სექტორებისგან გამოშვება არის გამოყენებული ამ სექტორებში დასაქმების დინამიკის ასახსნელად. მოდელი ეყრდნობა წარსულ მონაცემებს და ეკონომეტრიკულ შეფასებებს, რაც შესაძლებელს ხდის პოლიტიკის ფართო ეკონომიკური ეფექტების ანალიზს.

დანახარჯები-გამოშვების ცხრილები ასახავს ეკონომიკის სექტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებს, შუალედური მოხმარებისა და საბოლოო მოთხოვნის მეშვეობით, წრფივი კავშირების საფუძველზე. მოდელი იყენებს წლიურ მონაცემებს, მაკროეკონომიკური მონაცემების წყაროა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მოდელი იყენებს შემდეგ მონაცემებს:

- ეროვნული ანგარიშების სისტემა და მშპ-ს კომპონენტები;
- დანახარჯები-გამოშვების ცხრილები 38 ეკონომიკური საქმიანობისთვის (SNA 2008 კლასიფიკაციის მიხედვით) – ისინი მიღებულია რესურსებისა და გამოყენების ცხრილების საფუძველზე, რომელიც ქვეყნდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ;
- დასაქმების მონაცემები სექტორულ დონეზე;
- საგარეო ვაჭრობა – იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები სექტორულ დონეზე.

მოდელში გამოყენებული რეგრესიული ანალიზი მოიცავს შემდეგი ეკონომიკური ცვლადების შეფასებას და რეგრესიებს:

- შინამეურნეობების მოხმარება;
- სამთავრობო მოხმარება;
- მთლიანი კაპიტალის ფორმირება;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი;
- შინამეურნეობების მოხმარების დეფლატორი;
- მთავრობის მოხმარების დეფლატორი;
- მთლიანი კაპიტალის ფორმირების დეფლატორი;
- სექტორების დონეზე დასაქმება შეფასებულია მთლიანი გამოშვების საფუძველზე.

მაკროეკონომიკური ცვლადების შეფასების შემდეგ, დანახარჯები-გამოშვების ცხრილები იძლევა სექტორულ დონეზე გამოშვების დისაგრეგაციის შესაძლებლობას.

დამატებული ღირებულება თითოეული სექტორისთვის გამოითვლება, როგორც სხვაობა მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის. ნომინალური მშპ საბაზრო ფასებში გამოითვლება როგორც საბოლოო მოხმარებას და საქონლისა და მომსახურების იმპორტს შორის სხვაობა. რეალური მშპ გამოითვლება ანალოგიურად.

მოდელის შედეგები არა მხოლოდ ასახავს კონკრეტული პოლიტიკის სცენარის პირდაპირ ეფექტებს, არამედ ასევე აფასებს არაპირდაპირ ეფექტებსაც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის არსებული კავშირებიდან გამომდინარე.

დანართი 3.

ეკონომიკური მოღვაწეების შედეგები

3.1. საქონლის ფასის პროგნოზული შეფასება CBAM-ის უწყვეტ გეგმის ფონზე

CN	კატეგორია	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
ALUMINUM											
7601	ალუმინი დაუმუშავებელი	1.6%	1.7%	1.7%	1.8%	1.8%	1.9%	1.9%	2.0%	2.0%	2.1%
7604	წნელები და პროფილები ალუმინისა	0.8%	0.8%	0.8%	0.9%	0.9%	0.9%	0.9%	1.0%	1.0%	1.0%
7606	ფილები, ფურცლები, ზოლები ალუმინისა სისქით 0,2 მმ-ზე მეტი	1.6%	1.6%	1.7%	1.7%	1.8%	1.8%	1.9%	1.9%	2.0%	2.0%
7607	ალუმინის კილიტა	0.5%	0.5%	0.6%	0.6%	0.6%	0.6%	0.6%	0.7%	0.7%	0.7%
7608	მილები და მილაკები ალუმინისა	0.8%	0.8%	0.9%	0.9%	0.9%	0.9%	1.0%	1.0%	1.0%	1.1%
76090000	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის ალუმინის	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%
7610	ლითონკონსტრუქციები ალუმინისა	0.5%	0.5%	0.5%	0.5%	0.6%	0.6%	0.6%	0.6%	0.6%	0.6%
76110000	რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა) 300 ლ-ზე მეტი ტევადობით, მოპირკეთებული ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების	1.3%	1.3%	1.3%	1.4%	1.4%	1.5%	1.5%	1.5%	1.6%	1.6%
7612	ცისტერნები, კასრები, დოლები, ქილები, ყუთები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%
76130000	ალუმინის ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის	0.0%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%
7616	სხვა ნაწარმი ალუმინისაგან	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%
რკინა და ფოლადი											
720241	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას.%-ზე მეტი	5.5%	5.7%	5.9%	6.1%	6.2%	6.4%	6.6%	6.8%	7.0%	7.2%
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	20.6%	21.2%	21.8%	22.5%	23.1%	23.8%	24.5%	25.2%	26.0%	26.7%
7218	ფოლადი კოროზიამდე დამცავი სხეულებში ან სხვა პირველად ფორმებში	6.5%	6.7%	6.9%	7.1%	7.3%	7.6%	7.8%	8.0%	8.2%	8.5%

CN	კატეგორია	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
7208	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადი-ანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცხლად ნაგლინი	12.4%	12.7%	13.1%	13.5%	13.9%	14.3%	14.7%	15.1%	15.6%	16.0%
7216	კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	8.3%	8.6%	8.8%	9.1%	9.4%	9.6%	9.9%	10.2%	10.5%	10.8%
7219	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდე ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	4.1%	4.3%	4.4%	4.5%	4.7%	4.8%	4.9%	5.1%	5.2%	5.4%
7225	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	4.0%	4.1%	4.2%	4.4%	4.5%	4.6%	4.7%	4.9%	5.0%	5.2%
7302	ნაწარმი შავი ლითონებისაგან, გამოსაყენებელი სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის	4.0%	4.1%	4.2%	4.4%	4.5%	4.6%	4.7%	4.9%	5.0%	5.2%
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან	10.4%	10.7%	11.0%	11.3%	11.7%	12.0%	12.4%	12.7%	13.1%	13.5%
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან	7.9%	8.1%	8.3%	8.6%	8.8%	9.1%	9.4%	9.6%	9.9%	10.2%
7307	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან	1.5%	1.6%	1.6%	1.7%	1.7%	1.8%	1.8%	1.9%	1.9%	2.0%
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	5.5%	5.7%	5.9%	6.0%	6.2%	6.4%	6.6%	6.8%	7.0%	7.2%
7309	რეზერვუარები, ცისტერნები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, 300 ლიტრი და მეტი ტევადობის	1.1%	1.1%	1.1%	1.1%	1.2%	1.2%	1.3%	1.3%	1.3%	1.4%
7310	ცისტერნები, კასრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, არა უმეტეს 300 ლიტრი ტევადობისა	3.2%	3.3%	3.4%	3.5%	3.6%	3.7%	3.8%	3.9%	4.0%	4.2%
7311	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის შავი ლითონებისაგან	4.1%	4.2%	4.3%	4.5%	4.6%	4.7%	4.9%	5.0%	5.2%	5.3%
7318	ხრახნები, ქანჭიკები, ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან	1.8%	1.9%	1.9%	2.0%	2.0%	2.1%	2.1%	2.2%	2.3%	2.3%
7326	ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან	3.0%	3.1%	3.2%	3.3%	3.4%	3.5%	3.6%	3.7%	3.8%	3.9%
სასუქები											
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	20.7%	21.3%	22.0%	22.6%	23.3%	24.0%	24.7%	25.4%	26.1%	26.9%
3105	სასუქები მინერალური ან ქიმიური აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით	5.1%	5.2%	5.4%	5.5%	5.7%	5.9%	6.0%	6.2%	6.4%	6.6%

3.2. ქვეპროცესის ნაგავიერი შოკის პროცესული მაჩვენებელი

CN	კატეგორია	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
ალუმინი											
7601	ალუმინი დაუმუშავებელი	2.1%	2.1%	2.2%	2.3%	2.3%	2.4%	2.5%	2.5%	2.6%	2.7%
7604	წნელები და პროფილები ალუმინისა	1.0%	1.0%	1.1%	1.1%	1.1%	1.2%	1.2%	1.2%	1.3%	1.3%
7606	ფილები, ფურცლები, ზოლები ალუმინისა სისქით 0,2 მმ-ზე მეტი	2.0%	2.1%	2.1%	2.2%	2.3%	2.3%	2.4%	2.5%	2.5%	2.6%
7607	ალუმინის კილიტა	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	0.9%	0.9%
7608	მილები და მილაკები ალუმინისა	1.0%	1.1%	1.1%	1.1%	1.2%	1.2%	1.2%	1.3%	1.3%	1.4%
76090000	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის ალუმინის	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%
7610	ლითონკონსტრუქციები ალუმინისა	0.6%	0.6%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.7%	0.8%	0.8%	0.8%
76110000	რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა) 300 ლ-ზე მეტი ტევადობით, მოპირკეთებული ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების	1.6%	1.7%	1.7%	1.8%	1.8%	1.9%	1.9%	2.0%	2.0%	2.1%
7612	ცისტერნები, კასრები, დოლები, ქილები, ყუთები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.4%
76130000	ალუმინის ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%
7616	სხვა ნაწარმი ალუმინისაგან	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%	0.4%
რკინა და ფოლადი											
720241	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას.%-ზე მეტი	7.1%	7.3%	7.5%	7.7%	8.0%	8.2%	8.4%	8.7%	9.0%	9.2%
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	26.4%	27.1%	27.9%	28.7%	29.6%	30.5%	31.4%	32.3%	33.2%	34.2%
7218	ფოლადი კოროზიამდედგი სხმულებში ან სხვა პირველად ფორმებში	8.4%	8.6%	8.9%	9.1%	9.4%	9.7%	10.0%	10.3%	10.6%	10.9%
7208	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცხლად ნაგლინი	15.8%	16.3%	16.8%	17.2%	17.8%	18.3%	18.8%	19.4%	19.9%	20.5%
7216	კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	10.7%	11.0%	11.3%	11.6%	12.0%	12.3%	12.7%	13.1%	13.5%	13.9%
7219	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდედგი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	5.3%	5.5%	5.6%	5.8%	6.0%	6.1%	6.3%	6.5%	6.7%	6.9%
7225	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	5.1%	5.3%	5.4%	5.6%	5.7%	5.9%	6.1%	6.3%	6.4%	6.6%
7302	ნაწარმი შავი ლითონებისაგან, გამოსაყენებელი სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის	5.1%	5.3%	5.4%	5.6%	5.7%	5.9%	6.1%	6.3%	6.4%	6.6%
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან	13.3%	13.7%	14.1%	14.5%	14.9%	15.4%	15.8%	16.3%	16.8%	17.3%
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან	10.1%	10.4%	10.7%	11.0%	11.3%	11.7%	12.0%	12.4%	12.7%	13.1%
7307	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან	2.0%	2.0%	2.1%	2.1%	2.2%	2.3%	2.3%	2.4%	2.5%	2.5%
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	7.1%	7.3%	7.5%	7.7%	7.9%	8.2%	8.4%	8.7%	8.9%	9.2%
7309	რეზერვუარები, ცისტერნები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, 300 ლიტრი და მეტი ტევადობის	1.3%	1.4%	1.4%	1.5%	1.5%	1.6%	1.6%	1.7%	1.7%	1.7%
7310	ცისტერნები, კასრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, არა უმეტეს 300 ლიტრი ტევადობისა	4.1%	4.2%	4.3%	4.5%	4.6%	4.7%	4.9%	5.0%	5.2%	5.3%
7311	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის შავი ლითონებისაგან	5.2%	5.4%	5.5%	5.7%	5.9%	6.1%	6.2%	6.4%	6.6%	6.8%
7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანწები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან	2.3%	2.4%	2.4%	2.5%	2.6%	2.7%	2.7%	2.8%	2.9%	3.0%
7326	ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან	3.8%	3.9%	4.1%	4.2%	4.3%	4.4%	4.6%	4.7%	4.8%	5.0%
სასუქები											
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, ამოტოვანი	26.5%	27.3%	28.1%	28.9%	29.8%	30.7%	31.6%	32.5%	33.5%	34.4%
3105	სასუქები მინერალური ან ქიმიური ამოტის, ფოსფორის და კალციუმის შემცველობით	6.5%	6.7%	6.9%	7.1%	7.3%	7.5%	7.7%	7.9%	8.2%	8.4%

3.3. CBAM-ის ხარჯით გამოწვეული უარყოფითი შოკი ქვესაორჯუ

CN	კატეგორია	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
	ექსპორტის ნეგატიური შოკის შემცირება პოზიტიური ტექნოლოგიური ცვლილების შედეგად	0%	0%	5%	5%	5%	10%	10%	10%	10%	10%
ალუმინი		3,317.36	3,414.93	3,339.60	3,437.82	3,538.94	3,451.29	3,552.79	3,657.29	3,764.85	3,875.59
7601	ალუმინი დაუმუშავებელი	2,431.88	2,503.41	2,448.18	2,520.19	2,594.31	2,530.06	2,604.47	2,681.07	2,759.93	2,841.10
7604	წნელები და პროფილები ალუმინისა	20.20	20.79	20.33	20.93	21.55	21.01	21.63	22.27	22.92	23.60
7606	ფილები, ფურცლები, ზოლები ალუმინისა სისქით 0,2 მმ-ზე მეტი	119.57	123.09	120.37	123.92	127.56	124.40	128.06	131.83	135.70	139.69
7607	ალუმინის კილიტა	6.21	6.39	6.25	6.44	6.63	6.46	6.65	6.85	7.05	7.26
7608	მილები და მილაკები ალუმინისა	2.91	3.00	2.93	3.02	3.11	3.03	3.12	3.21	3.31	3.40
76090000	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის ალუმინის	2.34	2.41	2.35	2.42	2.49	2.43	2.50	2.58	2.65	2.73
7610	ლითონკონსტრუქციები ალუმინისა	657.72	677.07	662.13	681.61	701.65	684.28	704.40	725.12	746.45	768.40
76110000	რემერვუარები, ცისტერნები, ავზები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა) 300 ლ-ზე მეტი ტევადობით, მოპირკეთებული ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების	22.19	22.84	22.34	23.00	23.67	23.09	23.76	24.46	25.18	25.92
7612	ცისტერნები, კასრები, დოლები, ქილები, ყუთები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები	11.33	11.67	11.41	11.74	12.09	11.79	12.14	12.49	12.86	13.24
76130000	ალუმინის ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის	17.54	18.05	17.65	18.17	18.71	18.24	18.78	19.33	19.90	20.49
7616	სხვა ნაწარმი ალუმინისაგან	25.47	26.22	25.64	26.39	27.17	26.49	27.27	28.08	28.90	29.75
რკინა და ფოლადი		2,430,763.91	2,502,256.97	2,447,060.12	2,519,032.48	2,593,121.67	2,528,895.74	2,603,275.03	2,679,841.94	2,758,660.82	2,839,797.91
720241	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას.%-ზე მეტი	246,634.09	253,888.04	248,287.57	255,590.14	263,107.50	256,590.90	264,137.70	271,906.45	279,903.70	288,136.16
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	86.96	89.51	87.54	90.12	92.77	90.47	93.13	95.87	98.69	101.59
7218	ფოლადი კოროზიამდეფი სხმულებში ან სხვა პირველად ფორმებში	5,710.16	5,878.11	5,748.44	5,917.52	6,091.56	5,940.69	6,115.41	6,295.28	6,480.43	6,671.03
7208	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცხლად ნაგლინი	3.16	3.25	3.18	3.28	3.37	3.29	3.39	3.49	3.59	3.69
7216	კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	1.07	1.10	1.07	1.11	1.14	1.11	1.14	1.18	1.21	1.25
7219	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდეფი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	68.44	70.45	68.90	70.92	73.01	71.20	73.29	75.45	77.67	79.95
7225	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი	5.11	5.26	5.14	5.29	5.45	5.31	5.47	5.63	5.80	5.97
7302	ნაწარმი შავი ლითონებისაგან, გამოსაყენებელი სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის	1,385.82	1,426.58	1,395.11	1,436.14	1,478.38	1,441.76	1,484.17	1,527.82	1,572.76	1,619.01
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან	2,158,044.42	2,221,516.32	2,172,512.28	2,236,409.70	2,302,186.46	2,245,166.36	2,311,200.67	2,379,177.16	2,449,152.95	2,521,186.87
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან	3,437.22	3,538.31	3,460.26	3,562.04	3,666.80	3,575.98	3,681.16	3,789.43	3,900.88	4,015.61
7307	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან	219.27	225.72	220.74	227.24	233.92	228.13	234.84	241.74	248.85	256.17
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	299.00	307.80	301.01	309.86	318.97	311.07	320.22	329.64	339.34	349.32
7309	რემერვუარები, ცისტერნები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, 300 ლიტრი და მეტი ტევადობის	194.12	199.83	195.42	201.16	207.08	201.95	207.89	214.01	220.30	226.78
7310	ცისტერნები, კასრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, არა უმეტეს 300 ლიტრი ტევადობისა	4,507.13	4,639.69	4,537.34	4,670.79	4,808.17	4,689.08	4,827.00	4,968.97	5,115.11	5,265.56
7311	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის შავი ლითონებისაგან	624.95	643.33	629.14	647.64	666.69	650.18	669.30	688.99	709.25	730.11
7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან	3,651.14	3,758.53	3,675.62	3,783.73	3,895.01	3,798.54	3,910.26	4,025.27	4,143.66	4,265.54
7326	ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან	5,891.85	6,065.14	5,931.35	6,105.80	6,285.38	6,129.71	6,309.99	6,495.58	6,686.63	6,883.29
სასუქები		7,558,938.78	7,812,142.86	7,639,816.18	7,864,516.66	8,095,825.97	7,895,310.16	8,127,525.16	8,366,570.02	8,612,645.61	8,865,958.72
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, ამოტოვანი	7,568,878.19	7,791,492.26	7,619,621.11	7,843,727.61	8,074,425.48	7,874,439.71	8,106,040.88	8,344,453.84	8,589,878.96	8,842,522.46
3105	სასუქები მინერალური ან ქიმიური ამოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით	20,060.59	50,650.60	20,195.08	20,789.05	21,400.49	20,870.45	21,484.29	22,116.18	22,766.65	23,436.26
სულ		10,023,020.05	10,317,814.76	10,090,215.90	10,386,986.96	10,692,486.58	10,427,657.19	10,734,352.98	11,050,069.25	11,375,071.28	11,709,632.22

დანართი 4.

ინფორმაცია ჩატარებული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შესახებ

კვლევის პერიოდში, დღემდე, პროექტის გუნდის მიერ ჩატარდა 28 ინტერვიუ, 2 ფოკუს ჯგუფი და 1 საინფორმაციო შეხვედრა.

ჩატარებული ინტერვიუების სტრუქტურა არის შემდეგი:

- **5 ინტერვიუ** საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან:
 - ლაშა ინაური - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
 - ნინო თხილავა - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
 - მარგალიტა არაბიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
 - მარიამ გაბუნია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
 - გიორგი ჩიტაძე - სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანი - აკრედიტაციის ცენტრი.
- **10 ინტერვიუ** სხვა აქტორებთან, მათ შორის ასოციაციებთან, აუდიტორულ კომპანიებთან, ექსპერტებთან და ა.შ.:
 - ლევან ვეფხვაძე, მარიანა მორგოშია - საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
 - ნუგზარ კველიშვილი - ფეროშენადნობთა მწარმოებლების ასოციაცია
 - გიორგი ჩერქეზიშვილი, ოთარ ანთია - ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
 - კონსტანტინე კინწურაშვილი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
 - გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC)
 - ნინო დვალიშვილი - EY
 - გვანცა დევრისაშვილი - BDO Georgia
 - პაატა გოგოლიძე - ექსპერტი აკრედიტაციის საკითხებში
 - კახა მდივანი - ექსპერტი კლიმატის საკითხებში
 - მერაბ ლომინაძე - ელექტროენერგიის კვალიფიციურ მომხმარებელთა ასოციაცია

- **13 ინტერვიუ** CBAM-ის რეგულაციას დაქვემდებარებული პროდუქტების მწარმოებლებთან.

რაც შეეხება ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებს/საინფორმაციო შეხვედრებს:

- 27 ივნისი, 2025 წელი - საინფორმაციო შეხვედრა/ფოკუს ჯგუფი ინვესტორთა საბჭოს წევრებთან (10 მონაწილე).
- 22 ივლისი, 2025 წელი - ფოკუს ჯგუფი მეწარმეებთან (2 მონაწილე).
- 25 ივლისი, 2025 წელი - ფოკუს ჯგუფი გარემოს დაცვის ექსპერტებთან (7 მონაწილე).

ინტერვიუების პროცესი

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დაგეგმვის პროცესში, პროექტის გუნდი წააწყდა მნიშვნელოვან სირთულეებს იმ კომპანიების სიის არარსებობის გამო, ვისაც შეეხება CBAM რეგულაცია. კომპანიების იდენტიფიცირების მიზნით, პროექტის გუნდმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: 1) მოხდა მიმართვა შემოსავლების სამსახურისთვის იმ კომპანიების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც CBAM რეგულაციით განსაზღვრული სასაქონლო კოდების ექსპორტს ახორციელებენ საქართველოდან. შემოსავლების სამსახურის მიერ პროექტის გუნდს ეთქვა უარი, კომერციული საიდუმლოების დაცვის მოტივით; 2) პროექტის გუნდმა მიმართა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აღნიშნული სიის გამოსათხოვად, თუმცა, მოწოდებული სია აღმოჩნდა გამოუსადეგარი, ვინაიდან ძირითადად მოიცავდა არასისტემურ წარმოებაში ჩართულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (ინდივიდუალურ მეწარმეებს), რომლებიც ახდენენ აღნიშნული საქონლის ან ერთჯერად ექსპორტს, ან რეექსპორტს და არ წარმოადგენენ რეალურ მწარმოებლებს; 3) პროექტის გუნდმა დააიდენტიფიცირა აღნიშნული საქონლის სისტემური მწარმოებლები ქვეყანაში და მათთან „გაკითხვის“ გზით მოახდინა სხვა მწარმოებლების იდენტიფიცირება.

სულ მიმართვა ინტერვიუსთვის განხორციელდა 95 ბიზნესთან/ასოციაციის წარმომადგენელთან. პროექტის გუნდის მიერ კვლევის მიზნების ახსნის მიუხედავად, რამდენიმე სისტემურმა მსხვილმა მწარმოებელმა და მრავალმა შედარებით მცირე კომპანიამ უარი განაცხადა ინტერვიუზე.

გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა ალუმინის წარმოებასთან დაკავშირებით. ემისიების იდენტიფიცირებისთვის, პროექტის გუნდმა გამოიყენა 2024 წლის სათბური აირების ინვენტარიზაციის ეროვნული დოკუმენტი, რომელიც ასახავს საქართველოში არსებული ინდუსტრიების ემისიებს. აღნიშნული დოკუმენტი საერთოდ არ მოიცავს ალუმინის შესახებ მონაცემებს და მითითებულია, რომ აღნიშნულის წარმოება საქართველოში არ ხდება (This source category does not occur in Georgia¹⁵). აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციის საპირისპიროდ, საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს ექსპორტში, რამდენიმე სასაქონლო კოდში ფიქსირდება

15 2024 წლის სათბური აირების ინვენტარიზაციის ეროვნული დოკუმენტი, 4.4.3. ALUMINUM PRODUCTION (CRT 2C3), გვ. 159

ალუმინის და მისი პროდუქტების ექსპორტი (მაგ: 7601 - ალუმინი დაუმუშავებელი). მოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ საქართველოდან ძირითადად ხდება ალუმინის ჯართის ექსპორტი, რომლის სასაქონლო კოდია 7602 და წარმოადგენს გამონაკლისს CBAM რეგულაციიდან. თუმცა, მაინც გაურკვეველი რჩება რა ტიპის ალუმინის პროდუქტები გადის სხვა სასაქონლო კოდებით. პროექტის გუნდი აღნიშნულის დადგენის მიზნით დაუკავშირდა რამდენიმე კომპანიას, თუმცა, ყველა მათგანმა უარი განაცხადა ინტერვიუზე.

ინტერვიუების შედეგები

1. მწარმოებლები

- **სასუქები** - მწარმოებლებისთვის ცნობილია CBAM რეგულაციის და მისი მოთხოვნების შესახებ და ამის შესაბამისად, უკვე ახდენენ ემისიების ოდენობების წარდგენას. ევროკავშირის ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ბაზარს და იგეგმება ექსპორტის მინიმუმ 45-50%-ის გატანა ევროკავშირში შემდეგ წლებში. მწარმოებლები თავის უპირატესობად მიიჩნევენ სუფთა ენერგიის გამოყენებას წარმოების პროცესში. აღნიშნული ზოგადად წარმოადგენს საქართველოს კონკურენტულ უპირატესობას, ვინაიდან სხვა სექტორების მწარმოებლებიც აღნიშნავენ, რომ წარმოებისთვის ენერგია ძირითადად მოაქვთ ქსელიდან, სადაც ენერგიის უდიდესი ნაწილი არის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან. გარდა ამისა, სასუქების მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ აპირებენ საკუთარი მზის ენერგიის პანელების დამონტაჟებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს წარმოების ემისიების შემცირებას. ზოგადად, აღნიშნულ სექტორში, მწარმოებლებს აქვთ ამბიციური გეგმები ემისიების შემცირებასთან დაკავშირებით და თვლიან, რომ ამ გზით შეძლებენ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას ევროკავშირის ბაზარზე.
- **ცემენტი** - ცემენტის მწარმოებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ცემენტის გასაღების ძირითადი ბაზარი არის ადგილობრივი ბაზარი, ხოლო ექსპორტი ძირითადად ხორციელდება სომხეთში. მწარმოებლების მოკლე და საშუალოვადიან გეგმებში არ შედის ცემენტის ევროკავშირში ექსპორტი და ამ ბაზარზე ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად მიიჩნევენ თურქეთს, განსაკუთრებით ლოჯისტიკური კუთხით არსებული უპირატესობის ხარჯზე. აღნიშნული დაადასტურა ერთ-ერთი ასოციაციის წარმომადგენელმა, რომლის განცხადებით ლოჯისტიკური დაბრკოლებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად წარმოუდგენელია ცემენტის ექსპორტი ევროკავშირში. ცემენტის მწარმოებლების განცხადებით, CBAM რეგულაციის მიუხედავად, კომპანიების კორპორატიული პოლიტიკაა უფრო „სუფთა“ წარმოებაზე გადასვლა და ემისიების ეტაპობრივად შემცირება.
- **რკინა და ფოლადი** - აღნიშნულ სექტორში მოქმედი მეწარმეები არიან ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულები CBAM რეგულაციის შესახებ. საქართველოში ფეროს რამდენიმე სახეობა იწარმოება, მათ შორის უმსხვილესია ფეროსილიკომანგანუმი, რომელიც CBAM რეგულაციიდან გამონაკლისს წარმოადგენს. გარდა ამისა, იწარმოება ფეროქრომი, ფეროვანადიუმი და სხვა კატეგორიები, რაც ექვევა CBAM რეგულაციას. მწარმოებლების განცხადებით, ძირითადი გასაღების ბაზარი წლების განმავლობაში იყო აშშ, უკრაინა და რუსეთი, თუმცა, უკრაინა-რუსეთის ომის გამო შეიზღუდა აღნიშნული ბაზრები, ხოლო აშშ-ს ბაზარმა მიმზიდველობა დაკარგა პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) შეჩერების შემდეგ. შესაბამისად, ევროკავშირი წა-

რმოადგენს მნიშვნელოვან გასაღების ბაზარს მწარმოებლებისთვის, თუმცა, მათი განცხადებით, აღნიშნული ბაზრის შეზღუდვის შემთხვევაში (CBAM რეგულაციის გამო), შეუძლიათ გადავიდნენ ფეროსილიკომანგანუმის წარმოებაზე (რაც CBAM რეგულაციიდან გამონაკლისია) ან გადავიდნენ სხვა საექსპორტო ბაზრებზე (ძირითადად რუსეთი). აღნიშნულ სექტორში გამოკითხული მწარმოებლებისთვის ნაკლებად არის ცნობილი ემისიების შემცირების საკითხი და არც შესაბამისი სამომავლო გეგმები გააჩნიათ.

2. **ნედლეულის მიმწოდებლები და ტრეიდერები** - ადგილობრივი მწარმოებლების განცხადებით, ნედლეულს ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობენ, ასევე იმპორტით შემოაქვთ ძირითადად თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან. რაც შეეხება, პროდუქციის ექსპორტს, ტრეიდერები აღნიშნული მწარმოებლების კონტრაქტორები არიან, რომლებიც მათი დაკვეთით ახდენენ პროდუქციის მიტანას ევროკავშირის საზღვრებამდე, სადაც აღნიშნული პროდუქცია გადაეცემა ადგილობრივ იმპორტიორებს, რომლებიც სამომავლოდ იქნებიან CBAM რეგულაციის მიხედვით ავტორიზებული იმპორტიორები. მსხვილ კომპანიებს, რომლებიც გლობალური ჯგუფების წევრი კომპანიები არიან, ტრეიდიგის ქსელი ე.წ. სათაო ოფისების დონეზე აქვს ორგანიზებული.
3. **ასოციაციები** - ასოციაციების ინფორმაციით, მათი წევრების მხრიდან არ არის მოთხოვნა და ინტერესი CBAM რეგულაციის განხილვასთან დაკავშირებით, ვინაიდან რეგულაციით მოცული საქონლის გასაღების ძირითად ბაზარს ევროკავშირი არ წარმოადგენს და ამით არის გამოწვეული ინტერესის ნაკლებობა.
4. **სახელმწიფო ინსტიტუტები** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად, CBAM რეგულაციასთან მიმართებით სახელმწიფო აქცენტს აკეთებს მონიტორინგის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის (Monitoring, Reporting and Verification (MRV)) სისტემის შემუშავებაზე. სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა მომზადებულია (ცვლილებები გარემოს დაცვის შესახებ კანონში), მოწონებულია საქართველოს მთავრობის მიერ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში. თუმცა, საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა დაწყებული არ არის. MRV სისტემა გულისხმობს, რომ შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები (გარემოს ეროვნული სააგენტო და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო) გასცემენ ავტორიზაციას შესაბამის წარმოებებზე. აღნიშნული ავტორიზაციის მიღებისთვის, წარმოებებმა უნდა წარადგინონ ინფორმაცია ემისიების შესახებ, რომელიც ვერიფიცირებული უნდა იყოს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სუბიექტის მიერ. ავტორიზაციის მიღების შემდეგ, ყოველი წლის პირველ აპრილს წარმოებებმა უნდა წარმოადგინონ ანგარიში რეალური ემისიების შესახებ. MRV სისტემის მიზნებისთვის აკრედიტაციის ცენტრმა უნდა შეიმუშავოს შესაბამისი აკრედიტაციის სისტემა, რითაც მოხდება სუბიექტების აკრედიტაცია ამ მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ MRV სისტემა საშუალებას აძლევს ქვეყანას და კონკრეტულ მწარმოებლებს ზუსტად განსაზღვრონ ემისიების ოდენობა და წარმოების ნახშირბადინტენსივობა, რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება მწარმოებლებს CBAM რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში და ასევე, შექნის საფუძველს ემისიებით ვაჭრობის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. გარდა ამისა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე კერძო კომპანიების მხრიდან, CBAM-ის რეგულაციასთან მიმართებით, საქართველოს

კონკურენტულ უპირატესობად სახელდება ის ფაქტი, რომ საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი არის „სუფთა“ ენერგია და მაგალითად, ქსელში ენერგიის 75%-მდე არის განახლებადი ენერგიის წყაროებიდან. ვინაიდან საერთაშორისო შეფასებაც აჩვენებს, რომ ემისიების ერთ-ერთ მთავარ წყაროს სწორედ ენერგოგენერაცია წარმოადგენს, ამ მხრივ საქართველოს სხვა ქვეყნებთან შედარებით უპირატესი მდგომარეობა აქვს.

ემისიების პერიფიკაცია

ემისიების ვერიფიკაციის მოთხოვნა CBAM რეგულაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. რეგულაციის მიხედვით, ვერიფიკაცია უნდა მოხდეს დამოუკიდებელი, ამ მიზნით აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ. საქართველოში აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობის განსაზღვრისთვის, პროექტის გუნდმა ინტერვიუები გამართა რამდენიმე აუდიტორულ კომპანიასთან, რომლებიც შესაძლოა მომავალში იყვნენ აკრედიტირებული აღნიშნული მიზნებისთვის.

აღნიშნულ კომპანიებთან ინტერვიუების მიზანს წარმოადგენდა იმ ხარჯების მიახლოებით განსაზღვრა, რაც უკავშირდება ემისიების ვერიფიკაციას მესამე მხარის მიერ (აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ) CBAM რეგულაციის მიზნებისთვის.

კომპანიების განცხადებით, რთულია ზუსტი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოწოდება, ვინაიდან CBAM წარმოადგენს ახალ მექანიზმს და მისი მიზნებისთვის ჯერ ევროკავშირის შიგნითაც არ მომხდარა შესაბამისი ორგანიზაციების აკრედიტაცია. თუმცა, კომპანიები აღნიშნავენ, რომ CBAM რეგულაციის მიზნებისთვის აკრედიტაცია წარმოადგენს საკმაოდ რთულ და ხარჯიან პროცესს, და შესაძლოა ადგილობრივ აუდიტორულ კომპანიებს საერთოდ არ უდირდეთ ამ მიზნით აკრედიტაციის მიღება, ვინაიდან საქართველოს ბაზარი ამ ტიპის ბიზნესისთვის არის ძალიან შეზღუდული.

კომპანიების ინფორმაციით, ვერიფიკაციის მიზნებისთვის, საწარმომ უნდა წარადგინოს სულ მცირე შემდეგი დოკუმენტაცია:

- კომპანიის მაიდენტიფიცირებული მონაცემები (სახელი, საიდენტიფიკაციო კოდი)
- შესასწავლი საქონლის სახეობა და რაოდენობა
- წარმოშობის ქვეყანა
- მთლიანი ემისიების ოდენობა
- ემისიების დათვლისთვის გამოყენებული ბოლო 4 წლის მონაცემები
- ბოლო 5 წლის მონაცემები, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

აღნიშნული მონაცემების გამოყენებით, აკრედიტირებული ორგანიზაცია ამზადებს ემისიების ვერიფიკაციის ანგარიშს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული მონაცემები შეიძლება განსხვავდებოდეს სექტორების მიხედვით. კერძოდ, ვინაიდან CBAM რეგულაციის დანართი 2 განასხვავებს სექტორებს პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიების გაანგარიშების კუთხით, მაგალითისთვის, სასუქების შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე უნდა მოიცავდეს დეტალურ მეთოდოლოგიას პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიების გაანგარიშებისთვის, ასევე მონაცემებს ელექტროენერგიის მოხმარებისა და მისი ემისიების კოეფიციენტის თაობაზე.

რაც შეეხება ვერიფიკაციის ღირებულებას, ვინაიდან აღნიშნული სერვისი საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის, კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეფუძნება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი მათი ოფისების მონაცემებს. ხარჯები მოიცავს CBAM-თან დაკავშირებულ სხვადასხვა სერვისებს, მათ შორის რისკების შეფასებას, ტრენინგებს და უშუალოდ ემისიების შესახებ ანგარიშგებას.

CBAM-თან დაკავშირებული რისკების შეფასების და ტრენინგების ხარჯები მერყეობს 4500-6000 ევროს შუალედში (დღგ-ს და სხვა ხარჯების გამოკლებით).

საკუთრივ ვერიფიკაციის ხარჯის ოდენობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის:

- პროდუქტების სახეობაზე და რაოდენობაზე
- სექტორის სპეციფიურობაზე და სხვა.

ამასთან, ცალკე ხარჯი დაკავშირებულია მეთოდოლოგიის შემუშავებასთან, რომლის მიხედვით მოხდება ემისიების გაანგარიშება საწარმოების მიერ. აღნიშნული ხარჯი, უხეში გათვლებით შეადგებს 75000-80000 აშშ დოლარს.

რაც შეეხება ვერიფიკაციის ხარჯებს, კომპანიების ზომის მიხედვით, აღნიშნული ხარჯები, უხეში გათვლებით, იქნება შემდეგი:

- კომპანიები, ბრუნვით 10-60 მლნ. ლარი - 15,000-20,000 აშშ დოლარი (დღგ-ს და სხვა ხარჯების გამოკლებით);
- კომპანიები, ბრუნვით 60 მლნ. ლარი და მეტი - 30,000 აშშ დოლარიდან ზევით (დღგ-ს და სხვა ხარჯების გამოკლებით).

დანართი 5.

CBAM-ის ჩაგებასთვის სასაქონლო კოდები

CN	კატეგორია
ალუმინი	
7601	ალუმინი დაუმუშავებელი
7603	ფხვნილები და ქერცლი ალუმინისა
7604	წნელები და პროფილები ალუმინისა
7605	მავთული ალუმინისა
7606	ფილები, ფურცლები, ზოლები ალუმინისა სისქით 0,2 მმ-ზე მეტი
7607	ალუმინის კილიტა
7608	მილები და მილაკები ალუმინისა
76090000	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის ალუმინის
7610	ლითონკონსტრუქციები ალუმინისა
76110000	რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა) 300 ლ-ზე მეტი ტევადობით, მოპირკეთებული ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების
7612	ცისტერნები, კასრები, დოლები, ქილები, ყუთები და ალუმინის ანალოგიური ტევადობები
76130000	ალუმინის ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის
7614	დაგრეხილი მავთული, გვარლები, ზონრები და ანალოგიური ნაწარმი ალუმინისგან
7616	სხვა ნაწარმი ალუმინისგან
ჩაინა და უოლადი	
26011200	მადნები და კონცენტრატები, აგლომირებული, გამომწვარი, პირიტის გარდა
7201	თუჯი, გადასამუშავებელი და სარკისებრი შოთებში, ლუგვებში ან სხვა პირველად ფორმებში
720211	ფერომანგანუმი, ნახშირბადის შემცველობით 2 მას%-ზე მეტი
720219	დანარჩენი ფერომანგანუმი, ნახშირბადის შემცველობით 2 მას%-ზე ნაკლები
720241	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას%-ზე მეტი

CN	კატეგორია
720249	ფეროქრომი, ნახშირბადის შემცველობით 4 მას.%-ზე ნაკლები
720260	ფერონიკელი
7203	პროდუქტები რკინის მადნის პირდაპირი აღდგენისა და სხვა დრუბლოვანი რკინა
7206	ნახშირბადიანი ფოლადი სხმულებში ან სხვა პირველად ფორმებში
7207	ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7218	ფოლადი კოროზიამდეგი სხმულებში ან სხვა პირველად ფორმებში
7224	ფოლადი ლეგირებული სხმულებში ან სხვაგვარ პირველად ფორმებში, სხვა
7205	გრანულები და ფხვნილები გადასამუშავებელი სარკისებრი თუჯის, შავი ლითონებისგან
7208	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცხლად ნაგლინი
7209	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცივად ნაგლინი
7210	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი
7211	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან ნაკლები, მიუტკეცელი
7212	ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ-ზე ნაკლები, მიტკეცილი
7213	წნელები ცხლად ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან თავისუფლად დახვეულ ბუხტებად
7214	წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე
7215	წნელები სხვა ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7216	კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7217	მავთული ნახშირბადიანი ფოლადისაგან
7219	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდეგი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი
7220	ბრტყელი ნაგლინი კოროზიამდეგი ფოლადისაგან, სიგანით 600 მმ ან ნაკლები
7221	წნელები ცხლად ნაგლინი, თავისუფლად დახვეულ ბუხტებად, კოროზიამდეგი ფოლადისგან
7222	წნელები სხვა, კოროზიამდეგი ფოლადისგან
7223	მავთული კოროზიამდეგი ფოლადისაგან
7225	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან მეტი

CN	კატეგორია
7226	ნაგლინი ბრტყელი სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან, სიგანით 600 მმ ან ნაკლები
7227	წნელები ცხლად ნაგლინი, სხვა ლეგირებული ფოლადისაგან
7228	წნელები ლეგირებული ფოლადისაგან, სხვა
7229	მავთული სხვა ლეგირებული ფოლადებისაგან
7301	კონსტრუქციები ნარანდიანი შავი ლითონებისაგან
7302	ნაწარმი შავი ლითონებისაგან, გამოსაყენებელი სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის
7303	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები თუჩის სხმულებისაგან
7304	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან
7305	მილები და მილაკები, სხვა, შავი ლითონებისაგან
7306	მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან
7307	ფიტინგები მილების ან მილაკებისათვის შავი ლითონებისაგან
7308	მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები
7309	რეზერვუარები, ცისტერნები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, 300 ლიტრი და მეტი ტევადობის
7310	ცისტერნები, კასრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, არა უმეტეს 300 ლიტრი ტევადობისა
7311	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის შავი ლითონებისაგან
7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან
7326	ნაწარმი სხვა შავი ლითონებისაგან
	სასუქები
28080000	აზოტმჟავა, სულფოაზოტმჟავები
2814	ამიაკი უწყლო ან წყალხსნარში
28342100	კალიუმის ნიტრატები
3102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი
3105	სასუქები მინერალური ან ქიმიური აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით
	ბჟეხსი
25070080	კალინი და თიხები კალინური, დანარჩენი

CN	კატეგორია
25231000	ცემენტის კლინკერი, შეღებილი ან შეუღებავი
25232100	თეთრი პორტლანდცემენტი, ხელოვნურად შეღებილი ან შეუღებავი
25232900	დანარჩენი პორტლანდცემენტი, ხელოვნურად შეღებილი ან შეუღებავი თეთრი პორტლანდცემენტის გარდა
25239000	დანარჩენი ჰიდრაულიკური ცემენტები, პორტლანდცემენტისა და ცემენტის კლინკერების გარდა
25233000	ცემენტი თიხამიწოვანი, შეღებილი ან შეუღებავი
	ელექტროენერგია
27160000	ელექტროენერგია
	წყალბადი
28041000	წყალბადი

